სპორტიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 სექტემბერი 2004 №208 (2229) ფასი 50 თეთრი

დღეს უვირილის დღეა
სა-ქა-რთვე-ლო – ალბანეთი
შეინ მოდის?
სტადიონზე



გუშინ ალბანელებმა
კარი ჩიტები დაიჭირეს

გორა ტყეებუჩავამ ოთხი
ქულა და სიხარული დაგვგმა

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი. II ტური

თბილისი. 7 სექტემბერი. 20 საათი. ერეოვნული. 7 000 (ტევადობა 70 900)

საქართველო 2:1 ალბანეთი

1:0 კაშია (1), 2:0 მოდებაძე (18), 2:1 ბოშნიაკუ (21)

საქართველო: თოთლაძე, ციმაკურიძე, კაშია, იმედაშვილი, მ. ლომიძე, მ. ბურნაძე (გრიგალაშვილი 76), გეწაძე, ალადაშვილი, გოგუა, ხოჯავა (გიგაური 82), ი. მოდებაძე (ფიფია 75)	ალბანეთი: ჯონდედა, დალკუ, ბალაკი, ნდრეკა (კულე 58), ა. მუკა, ბოშნიაკუ (ბეგა 78), ტეტოია, მუზაკა, სალიჰი (ჩაპჯა 35), ოსმანი, კაჩანი
სათადარიგონი: შეყრილაძე; ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე	*სათადარიგონი:* ლანი; ბარკა, ლაკაი, ვანჯელი
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა	მწვრთნელი: ჰასან ლიკა

გაფრთხილებები: მუზაკა (5), ციმაკურიძე (21), ციმაკურიძე (24), მუზაკა (24), მოდებაძე (45), ბალაკი (88)

გაძევებები: ციმაკურიძე (24), მუზაკა (24), გოგუა (50)

მსაჯი: მარეკ მიკოლაევსკი (პოლონეთი)

ირაკლი მოდებაძის გოლი სამჭულიანი აღმოჩნდა

კაცნაკლული აგრესორები

დავით თავართქილაძე

ჩვენ შინ ვთამაშობთ, განსაკუთრებული აგრესიით უნდა ვიბრძოლოთ და მოვიგოთ — ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალება შეასრულეს და 3 სექტემბერს თურქეთში მოპოვებულ ფრეს გუშინ სამი ქულა მიუმატეს.

მაგრამ მოედანზე ბრძოლა ერთია და ჩხუბი მეორე — ეროვნული ნაკრების მაისურა თავდადების გარდა ეთიკასაც გავალდებულებს — ძიძგილაობა და მით უმეტეს შეფურთხება არავის შეშვენის. ეთიკას რომ თავი დავანებოთ, გაძევების გამო საქმე გავირთულეთ და უპირატესობა კინაღამ ქარს გავატანეთ — გოჩა ტყებუჩავას სხვათა გარდა პედაგოგიკის მხრივაც უხვად ჰქონია სამუშაო.

ტყებუჩავამ 4-3-2-1 სქემა აირჩია: დაცვის ცენტრში გიორგი ციმაკურიძე და დავით იმედაშვილი, მარცხენა-მარჯვენა ფლანგებზე მამუკა ლომიძე და შოთა კაშია, ნახევარდაცვაში სამი საყრდენი — რევაზ გეწაძე, გოგიტა გოგუა და თემურ ბურნაძე, ორი მოედნის სიღრმიდან მოთამაშე გარემარბი — გოჩა ხოჯავა და კახა ალადაშვილი, ხოლო ცენტრფორვარდი ირაკლი მოდებაძე იყო. ცხადია, განლაგება პირობითი გახლდათ და ფეხბურთელები სათამაშო სიტუაციების მიხედვით იცვლიდნენ პოზიციას. მაგრამ აქ ერთიცაა — აღრე ტყებუჩავა უფრო შეტევაზე ორიენტირებული მწვრთნელი იყო, ხოლო ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე თქვა, ახლა, ცოტა არ იყოს, შევიცვალე შეხედულება, გუნდის ხერხემალს მეკარე, დაცვა და საყრდენი ნახევარმცველები წარმოადგენენ და პირველ რიგში ეს რგოლები უნდა გავამაგროთო. ვფიქრობ, პირველ რიგში სწორედ ამის გამო გამოაძრო კაცნაკლულმა საქართველოს ნაკრებმა გამარჯვება — გუშინდელ მატჩში ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ქართველებს აკლდათ გუნდის უდავოდ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი — ნახევარმცველ გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს გუშინ დილით სიცხემ აუწია და ანგინიანი შინ გაუშვეს. დანაკარგი იყო მეტოქის ბანაკშიც — ალბანელთა საუკეთესო ფორვარდი პარიდ ჯიჰანი თბილისში იმიტომ ვერ ჩამოვიდა, რომ სასწავლებელში გამოცდები ჰქონდა ჩასაბარებელი — სწორედ ჯიჰანმა გაუტანა გოლი 3 სექტემბერს საბერძნეთის ახალგაზრდულს.

...ქართველმა ახალგაზრდებმა პირველი წამებიდან წაუჭირეს ყელში მეტოქეს. ალბანელებმა კი ძლიერ ბიძგებს ვერ გაუძლეს — კაშიამ ოცდახუთიოდე მეტრიდან ისეთი დაარტყა, რომ ბურთმა ზიგზაგური ტრაექტორია მოხაზა და ერალდ ჯიონდედას კარში შევარდა. ჩვენების შეტევები გოლის შემდეგაც გაგრძელდა. საჰაერო ბრძოლიდან გადმოვარდნილი ბურთი ალადაშვილს მიუვიდა, მაგრამ დინამოელმა ის ხარიხის ზემოთ აუშვა.

ალბანელები შოკიდან მალე გამოვიდნენ. ჰასან ლიკას დამოძღვრილი ბიჭები ბურთს კარგად, სწორად აგორებდნენ და თამაშიც გათანაბრდა. ქართველთა საჯარიმო მოედნისკენ გაფრენილ ბურთებზე მეტწილად სტუმრები ყოჩაღობდნენ, ხმელეთზეც რიგიანად ათამაშდნენ ალბანელები და გამოჩნდა, რომ იოლად ამ მატჩს ვერავინ მოიგებდა.

ფეხბურთელი, ვისაც ლამაზად და ორიგინალურად თამაში შეუძლია, დიდი კაპიტალია და ამან მეორე გოლიც გაგვატანინა — ორ მეტოქეს შორის მოქცეულმა ხოჯავამ ბრწყინვალე პასი გაუჭრა ალადაშვილს, რომელმაც მახვილი კუთხიდან კარში დარტყმას უფრო ნაღდი არჩია — ბურთი კარის გასწვრივ გაგზავნა და მოდებაძემაც ის ფაქტობრივად ცარიელ კარში შეაგდო — 2:0.

თუმც სტუმრებმა ექვს წუთში გვიპასუხეს — ისევ ჩვენს საჯარიმოში ჩაფრენილი ბურთი, ისევ არეულობა და ალბანელებმა უკვე საგოლედ იმარჯვეს — ჰამდი სალიჰის თავურ პასს დენის ბოშნიაკუმ თავური გოლი მიაყოლა. კარში შევარდნილი ბურთისთვის საქართველოს ნაკრების მეკარე ირაკლი თოთლაძე და ალბანელთა კაპიტანი ჯეჯი მუზაკა გაემართნენ. თოთლაძე პირველი აღმოჩნდა ბურთთან და ალბანელმაც ხელი ჰკრა მას. მეკარეს თავისი კაპიტანი ციმაკურიძე გამოექომაგა და მუზაკაც მინდორზე გაიშოტა. პოლონელმა არბიტრმა მარეკ მიკოლაევსკიმ ჯერ ჩვენ კაპიტანს აუფრიალა წითელი ბარათი, ხოლო მუზაკას ყვითელი აკმარა. შემდეგ დავთარში ჩაიხედა, ორამდე დათვალა და მალე მუზაკას წითელი ბარათიც დანათა.

ათი-ათზე ალბანელებს მართებდათ გატანა — არმენდ დალკუს თავურს რიკოშეტი მოჰყვა, თოთლაძე ბურთის მომგერიებელი აღარ იყო, მაგრამ მრგვალი საგანი განზე წავიდა.

რა იქნება მეორე ტაიმში? ძალიან დაძაბული თამაში ჩხუბის ზღვარზე — ამის პროგნოზირება ადვილი გახლდათ, ყველაფერი ეს კარგად იკითხებოდა და ასეც მოხდა — მეორე ტაიმის მე-5 წუთზე გოგუას დალკუ ეთამაშა უხეშად, ქართველმა ეს ვერ მოითმინა, მეტოქეს ფეხი მიარტყა და შეაფურთხა — გოგუა გააძევეს და დავრჩით ცხრანი ათზე.

ვნებები არ ცხრებოდა, ნერვიული ბრძოლა გაჩაღდა, კაცნაკლული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ძალიან მაგრად დადგა, მაგრამ დენთის მარაგი არც ალბანელებს შემოაკლდათ.

ორჯერ იყოჩაღა თოთლაძემ, ხოლო ალბანელთა პლეიმეიკერმა ედლირ ტატოვამ „პოდსებითი" რამდენჯერმე გვარიანად შეაწუხა ქართველთა დამცავი ბარიერები, მაგრამ ბოლო მომენტში ალბანელებს თითქოს ოსტატობა არ ჰყოფნიდათ, საგოლედ გაეტეხათ ჩვენი დაცვა.

40 წუთი ცხრა ათზე — ტყებუჩავას მებრძოლმა გუნდმა ექსტრემალური ამოცანა წარმატებით გადაჭრა. ამ 40 წუთის ერთ მონაკვეთში ხოჯავამ, კაშიამ და მოდებაძემ დიდებულად დაიჭირეს ბურთი და ალბანური შემოტევებიც უწყვეტი არ ყოფილა. ჩვენებმა რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელეს, საუკეთესო შანსი რევაზ გეწაძეს ჰქონდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მიზანი ვერ გაისწორა.

ძნელად მოპოვებულ გამარჯვებას მოოხშივრე სუნი უდის — ჩვენი ნაკრების ხარვეზები თუ წითელყვითელი ბარათები აღარავის ახსოვდა — შმაგი მატჩი ქართველებმა მოიგეს!

გოჩა ტყებუჩავას თანაშემწე ნიკა ჩხეიძეს გამარჯვება ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემაც მიულოცა

პრესკონფერენცია

გოჩა ტყებუჩავა: ძალიან ბედნიერი ვარ. ამ ორ მატჩში, სულ მცირე, ოთხი ქულა გვქონდა დაგეგმილი და მიხარია, რომ ეს შევძელით. ხარვეზები გვქონდა, მაგრამ აუცილებლად გამოვასწორებთ, ახლა მაგაზე ფიქრით თავს არ ვიტვირთავ. ცხოვრებაში ალბათ ასეთი გახარებული არ ვყოფილვარ.

...აგრესიული თამაში ჩემი მოთხოვნა იყო. ბიჭებს წამდაუწუმ ვეუბნებოდი, რომ შინ ვთამაშობთ და გულშემატკივარს თავდაუზოგავი ბრძოლა უნდა ვანახო. ამის გამო მსაჯმა ორი ფეხბურთელი გაგვიგდო, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ. ისე, ვაღიარებ, რომ შემეძლო კაპიტნად სხვა დამენიშნა. ეტყობა, სამკლავურმა ციმაკურიძეს ზედმეტი ტვირთი აჰკიდა.

...კარგად იცით, რომ მოედანზე დამდგარ ფეხბურთელს ვერ ვიტან. ალბათ, შეამჩნიეთ, დღეს ყველამ ბოლომდე იბრძოლა და მოედანზე თავი დადო. ასევე გავაგრძელებთ. არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰიმნისას ყველა მღეროდა.

ჰასან ლიკა: საქართველო კარგი გუნდია, ჩვენი შეცდომები მეტოქემ კარგად გამოიყენა. როცა თამაში გავათანაბრეთ, გოლის გატანა კიდევ შეგვეძლო, მაგრამ...

...იგრძნობოდა, რომ ქულის აღება მაინც შეგვეძლო. მეტოქე უმცირესობაში რომ დარჩა, მერე უფრო მეტი მომენტი შევქმენით, თუმც ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროა, რომ ანგარიშის გათანაბრება ვერ შევძელით. არადა, წასაგები თამაში ნამდვილად არ იყო.

საბერძნეთი	2	1	1	0	3:2	4
საქართველო	2	1	1	0	2:1	4
დანია	1	1	0	0	3:2	3
უკრაინა	2	1	0	1	3:3	3
ალბანეთი	2	0	1	1	2:3	1
თურქეთი	2	0	1	1	1:2	1
ყაზახეთი	1	0	0	1	0:1	0

შოთა კაშიამ სუპერგოლი გაიტანა

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი. II ტური

ყაზახეთი 0:1 უკრაინა

0:1 ალიევი (69)

საბერძნეთი 2:1 თურქეთი

1:0 მანციოსი (76), 2:0 ციოლისი (89ჯ), 2:1 იბრაჰიმ აკინი (90)



ბურაგ დიულენგერი ფოტო

ქერესი ძიღის წამალს არ სვამს

ბრიგელი ეი ძალლის ნაპბენივით ახსოვს

მერვე ჯახს საქართველოც და ალბანეთიც ლამის იდეალური განწყობით ხვდებიან. „არნივეთის“ თავკაცი ჰანს-პეტერ ბრიგელი უფრო თავშეკავებულია, ბერძნების წაქცევამ არაქათი გამოგვაცალა და თქვენთან ერთ ქულასაც სიამოვნებით მოვაწერ ხელსო. რა თქმა უნდა, ალენ ჟირესს ფრის გაგონებაც არ უნდა, ეგ თურქეთშიც ვნახე და ახლა უნდა მოვიგოო. მესამე დღეა, ოსმალური მატჩით სახეგაბადრული მუსიე ალენი სასტუმრო „ბატესტაში“ გვიხმობს ჟურნალისტებს და გუშინდელ პრესკონფერენციაზეც ბლომად ოპტიმიზმი აფრქვია...

— სიახლე არაფერია. ალბანეთთან მატჩში პატარ-პატარა ცვლილებებს სიურპრიზად ნუ მიიჩნევთ, შემადგენლობას კი წინასწარ ვერ გეტყვით, ჯობს, ხვალამდე შეეცინახო.

— ალბანელებმა, ფრეზეც თანახმანი ვართო. როგორ გგონიათ, ამით ჩვენი მოდუნება უნდათ?

— არ არის გამორიცხული, თუმც მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩები: არა მგონია, უკანმოუხედავად მოგებაზე ფიქრობდნენ. ფრანგებს ასეთი გამოთქმა გვაქვს, ძილის წინ დაფნის გვირგვინი თავიდან მოიხსენი და ოცნებებში ნუ იფრენო. ალბანელებს თუ მართლა ჩვენი მიძინება სურთ, ეს ვერ მოგვატყუებს, ფხიზლად დავხვდებით.

— ალბანეთ—საბერძნეთის შეხვედრა კომპიუტერით ნახეთ. მაინც როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ მეტოქემ, მოსალოდნელზე უკეთესი თუ უარესი?

— არ ველოდი, ასე ძლიერად თუ დაიწყებდნენ თამაშს. დარწმუნებული ვარ, თბილისში ასეთი აგრესიულები არ იქნებიან და რომც ეცადნონ, არ გამოუვათ.

— ბრიგელმა ფავორიტად საქართველო დაასახელა. თქვენც ასე ფიქრობთ?

— 4 სექტემბერს დანიას, თურქეთსა და საბერძნეთს ყველა ფავორიტად თვლიდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოიგო. ფავორიტი ცოტა ზედაპირული ცნებაა, ქაღალდზე რომ ამართლებს და მინდორზე გატყუებს. მირჩევნია, აუტსაიდერად ჩაგვთვალონ და მოვიგოთ.

— ალბანელთა შორის ტანმაღალი თავდამსხმელი იგლი ტარე გამოირჩევა, რომელსაც ფლანგებიდან ხშირად აწვდიან ბურთს თავზე. მას პერსონალურად მიამაგრებთ ვინმეს?

— ამაზე ხმამაღლა ვერ ვილაპარაკებ და თუ გნებავთ, ჩუმად გეტყვით... ისე კი, ტარე მნიშვნელოვანი ფიგურა ჰყავთ, იგი აუცილებლად უნდა გამოვთიშოთ თამაშიდან. მგონი, რაღაც-რაღაცეები უკვე მივანიშნეთ...

— შედეგის თვალსაზრისით თურქული ფრე მოლდოვურ მატჩთან მოსატანიც არ არის, მაგრამ სათამაშო კომპონენტებში თუ ხედავთ პროგრესს?

— პროგრესი ნამდვილად იყო. ბურთი ნორმალურად ამოგვქონდა საჯარიმოდან, ჯარიმების უფლებას ხშირად ვიღებდით, რაც სასიკეთოდ წაგვადგა. ერთი სიტყვით, თამაშის ხარისხით წინ მივდივართ.

— საქართველო-ალბანეთი ბოლო წლებში შვიდჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის სტილს კარგად უნდა იცნობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ დაზვერვა არ იქნება და გახსნილ ფეხბურთს ვნახავთ?

— ფეხბურთელები კი იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ მე ნაკლებად. რა თქმა უნდა, წინა მატჩების შედეგები ვიცი და მეტოქის სათამაშო მანერაზეც წარმოდგენა მაქვს.

— 22 წლის თავზე ბრიგელთან რევანშის მშვენიერი შანსი გეძლევათ...

— პირადული რევანშის წყურვილი არ მკლავს, ახლა ჩემი ერთადერთი საზრუნავი საქართველოს ნაკრებია. ფეხბურთელობისას სხვა განცდები იყო, მწვრთნელობისას — სხვა. ამიტომ ხვალინდელი გამარჯვებაც ვერ წამიშლის 1982 წელს მოყენებულ ტკივილს, ის წაგება ყოველთვის მწარედ მემახსოვრება...

ილია ნანოგაჯვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ფეხბურთიმი ამინეში

საბერძნეთი — თურქეთი

საბერძნეთი — თურქეთი მხოლოდ ფეხბურთი რომ არ იქნება, ამას მტკიცება არ სჭირდება. კვიპროსის კუნძულის შუაზე გამყოფი ორი სახელმწიფოს გუნდები დღეს ათენში დაეჯახებიან ერთმანეთს. ევროპის ჩემპიონი მსოფლიოს ბრინჯაოსანს დაუხვდება და შეხვედრა ომს დაემსგავსება. ოტო რეჰაგელის ნაკრებმა ალბანეთში წააგო, თურქებმა ქართველებს ქულა გაატანეს ტრაპიზონიდან და ასეთი ცუდი დასაწყისის შემდეგ ორივე გუნდს კარგი შედეგი სჭირდება.

რეჰაგელის ევროჩემპიონები შინ პირველ მატჩს გამართავენ მას შემდეგ, რაც პორტუგალიიდან ოქრო წაიღეს, ერსუნ იანალის თურქებს კი დიდძალი პრემია ელით ათენში მოგებისთვის. ოსმალოთა თითოეული ფეხბურთელი 80-80 ათას დოლარს მიიღებს, თუ ბერძნებს საბერძნეთშივე დაამარცხებენ. ეს იოლი საქმე არაა. მიუხედავად ამისა, იანალი იმედიანადაა და აკი ერთმა თურქმა კორესპონდენტმა, რომელიც ტირანაში ალბანეთ — საბერძნეთის შეხვედრას დაესწრო, თქვა, ბერძნები პირველი გაშვებული გოლის შემდეგ ბატებივით აირივნენო. კორესპონდენტი ელინებს „მეზობლებად“ (სწორედ ასე — ბრჭყალებში) მოიხსენიებს და ოცნებობს, რომ რეჰაგელის ნაკრები ალბანური მატჩის მსგავსად აირიოს. გერმანელის შეგირდთაგან სხვებზე უკეთ სეიტარიდისს და იანაკოპულოსს უთამაშიათ, კარაგუნისი კი მკრთალი ყოფილა.

თურქთა თავკაცს უთქვამს: „საქართველოსთან მატჩის შემდეგ გამოჩნდა, რომ იოლად დასამარცხებელი მეტოქე არ არსებობს. ბერძნებთან განსაკუთრებით გაგვჭირდება, რადგან მათ ალბანეთში წააგეს და ახლა კბილებალესილნი გველიან. ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობასაც ნუ დავივიწყებთ, ასე რომ, დიდი შეხლა გველის. ჩემი გუნდისა მჯერა და ყველა მზადაა საბრძოლველად“.

ლევენტ ბიჩაქჩი ტრაპიზონული სუფრა დაიწუნა

ტრაპიზონში საქართველოსთან ვერმოგებულმა მატჩმა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ლევენტ ბიჩაქჩი განარისხა: „ტრაპიზონში სტადიონი არ გაივსო, გულშემატკივრებმა ნაკრებს ბოლომდე მხარი არ დაუჭირეს და შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვეს სტადიონი. ამიტომ ვთვლი, რომ კარგა ხანს „ავნი აკერზე“ ნაკრები აღარ ითამაშებს“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

ბერძენთა ჯილა ტრაიანოს დელასი დღევანდელ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, მის ადგილს ოტო რეჰაგელი, სავარაუდოდ, ლევსტერელ ნიკოს დაბიზასს ანდობს.

რომან თურქია

ტიმოფეევის აღმოჩენები

ფეხბურთი მარტივი თამაშია, ფინონჩენკო კი ყაზახი არ არის

ყაზახეთი — უკრაინა



სერგეი ტიმოფეევი

დღეს ყაზახეთი პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ევროპულ ზონაში. გეხსომებათ, ყაზახები აქამდე აზიიდან ცდილობდნენ მუნდიალზე მოხვედრას, თუმც მერე გაევროპელება მოინდომეს და უეფამაც 53-ე შვილად მიიღო.

ერთი სიტყვით, დღეს ყაზახეთი — უკრაინაა.

მატჩი ალმათის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება და ყაზახური საიტების ცნობით, გულშემატკივართა მოზღვავებას ელიან. მართალია, მასპინძლებს ფავორიტად არავინ მიიჩნევს, მაგრამ სერგეი ტიმოფეევი გუნდს მოსაგებად მოძღვრავს და ამაში იქაური ფეხბურთის მამებიც ეხმარებიან — ყაზახეთის ფეხბურთის კავშირის განცხადებით, მოგების შემთხვევაში ნაკრები სოლიდურ პრემიას მიიღებს.

— ამხანაგურ მატჩებში ბევრი შეცდომები გვქონდა და დღემდე ამის გამოსასწორებლად ვმუშაობდით. ამდენ შეცდომას არავინ გვაპატიებს, უფრო ყურადღებით უნდა ვითამაშოთ — განაცხადა სერგეი ტიმოფეევმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. კითხვაზე, რა შეცდომები ჰქონდა მხედველობაში, მწვრთნელმა უპასუხა: „ბიჭები რთულად თამაშობენ, ცდილობენ, გულშემატკივრები რაღაც ილეთით გააკვირვონ და ასიამოვნონ. არადა, მთელი სილამაზე სიმარტივეშია. უბრალოდ, მიაწოდე ბურთი თანაგუნდელს. ეს ლამაზიცაა და საიმედოც“.

ტიმოფეევის თქმით, ანდრეი შევჩენკოს პერსონალური მეურვე არ ეყოლება. მისი გაუვნებლება ყაზახთა მთავარი ამოცანა კი იქნება, თუმც ამას ზონურ დაცვით აპირებენ.

ყაზახეთზე საუბარს ორი ფეხბურთელით დავასრულებთ — მთელი ქვეყნის გასაკვირად, ტიმოფეევმა სუპერლიგის საუკეთესო ბომბარდირი არსენ ტლეხუგოვი არ მიიწვია ნაკრებში, ყარაგანდის „შახტიორის“ თავდამსხმელი ანდრეი ფინონჩენკო კი საერთოდ გაუშვა გუნდიდან. არასერიოზულობა, წაგებასთან შეგუება და ქვეყნის ღირსების არად ჩაგდება — აი, ეს დასწამა მწვრთნელმა შეგირდს და კარისკენ მიუთითა.

ორიოდ სიტყვით უკრაინელებზეც. ოლეგ ბლოხინის გუნდი ეიფორიაშია — დანიაში ნათამაშებმა 1:1-მა ბლოხინსაც გაუმყარა პოზიციები. უკრაინელთა ბანაკში ყველა ჯანმრთელადაა და ყაზახეთშიც უეჭველ სამ ქულს გეგმავენ. ბლოხინის თქმით, მის გუნდს თავისუფლად შეუძლია მოგება და ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

ძახა შალამბერიძე

ბრიგელის ვერბალური ფინტები

ალბანელები ერთს ლაპარაკობენ, მეორეს ფიქრობენ

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ალბანეთის ნაკრების გუშინდელი ვარჯიშისას იქაურმა ჟურნალისტებმა ისეთი რამ გვითხრეს, ძალიან კი გვეუცნაურა, თუმც არ გაგვიკვირდა: ბრიგელი საკმაოდ მხნედ გამოიყურება, საერთოდ თავშეკავებული გერმანელი თამამ პროგნოზებს ყოველთვის ერიდება, თბილისში კი გვითხრა, მოსაგებად ჩამოვედიო.

ვარჯიშის შემდეგ კი ბრიგელმა, რომელიც ქართველ ჟურნალისტებთან თავს იკატუნებს და თითქმის საპირისპიროს გვეუბნება, ხუთი წუთი დაგვითმო

— დღეს დაწვრილებით განვიხილეთ თურქეთ — საქართველოს ვიდეოფირი. ქართველებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათ თამაშში ბევრი სიახლე შევნიშნე. მოკლედ, ძლიერად ითამაშეს.

— საქართველოს ნაკრებთან თამაშამდე 24 საათით ადრე რას ფიქრობთ მატჩზე?

— ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს. ყოველთვის გვიჭირდა ქართველებთან, რომლებიც განსაკუთრებით კარგად შინ თამაშობენ. შარშან თბილისში 0:3 წავაგეთ და ეს მარცხი ძალიან მწარედ მახსოვს. ვფიქრობ, იოლი მატჩი არც ხვალ გველის.

— ხვალინდელ მატჩში რომელიმე მოთამაშე ხომ არ დაგაკლდებათ?

— არ უვარჯიშიათ და ალბათ ვერ ითამაშებენ რაკლი და მუკა. დურუს თამაშიც საეჭვოა.

— და ისევ ჟირესისა და ბრიგელის დაპირისპირების შესახებ...

— ეტყობა, ახალი კამპანია დაიწყო, ბრიგელი ჟირესის წინააღმდეგ, მანამდე აქტუალური იყო რეჰაგელი ბრიგელის წინააღმდეგ. ვნახოთ, ვინ ვის...

ბრიგელთან „ბლიცის“ მერე ალბანელთა ორ წამყვან მოთამაშეს, იტალიური „ბოლონიას“ იგლი ტარეს და გერმანული „არმინიას“ ერვინ შკელას გამოველაპარაკეთ.

იგლი ტარე: საბერძნეთთან მოგებას ძალიან დიდი ძალა შევალიეთ. უმძიმესი მატჩი იყო. სტადიონზე ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. ჩვენმა გულშემატკივარმა ნახევარი საქმე გააკეთა და არც ჩვენ დავაღალატეთ ხალხი.

— მიუხედავად ამისა, ასეთ შედეგს ალბათ არც ფეხბურთელები ელოდით...

— რასაკვირველია. ჩვენ ფრეზეც თანახმანი ვიყავით. ბერძნებს ძალიან ორგანიზებული გუნდი ჰყავთ. მათთვის გოლის გატანა ძნელი საქმეა, თუმცა ჩვენ ფორტუნამაც გადმოგვხედა. დებიუტშივე გავხსენით ანგარიში. ბერძნებს გონს მოსვლაც არ ვაცადეთ, რომ ჯარიმიდან მეორეც გავუტანეთ.

— საბერძნეთის ნაკრებს ჰქონდა თამაშის გადარჩენის შანსი?

— როდესაც მათ პირველსავე ტაიმში შეამცირეს სხვაობა, ვიფიქრე, რომ გავტყდებოდით. მეორე ტაიმიც ენერგიულად დავიწყეთ, მეტოქეს არაფერი დავუთმეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. თუ ბერძნებმა შტურმით რამდენიმე სახიფათო მომენტი შეგვიქმნეს, ჩვენ კონტრშეტევებზე უფრო სახიფათონი ვიყავით.

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

იგლი ტარე

— თქვენ გოლის გატანა ვერ მოახერხეთ, ევროპის ჩემპიონებთან თავის გამოჩენას კი ნებისმიერი ფორვარდი ინატრებდა. იმედგაცრუებული ხომ არ ხართ?

— გატანა მართლაც ძალიან მინდოდა, მაგრამ საფინალო სასტვენი რომ გაისმა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ჯერ ჩემს ოპტიმალურ ფორმაშიც არ ვარ. ამაში ბრალი იტალიის ჩემპიონატს მიუძღვის. სერია ჯერ არ დაწყებულა და სერიოზული თამაშების გარეშე სასურველ ფორმაში ყოფნა ძალიან ძნელია.

— შეძლებთ, საქართველოს ნაკრებთანაც ისევე ითამაშოთ, თუ ყველაფერი ბერძნებს შეალიეთ?

— ვაღიარებ, რომ ძალიან დაღლილები ვართ, მაგრამ ერთხელაც უნდა მოვინდომოთ. ქართველებს ძალიან კარგი ნაკრები გყავთ, განსაკუთრებით საშინაო მატჩებში სჩვევია რეალური ძალის წარმოჩენა. თურქეთში ფრემ კი ძალიან გამაკვირვა. ვნახოთ, ბრძოლა რომ იქნება, ვიცი. თქვენი ნაკრები თბილისში მუდამ გვამარცხებდა და იქნებ ახლა მაინც დავარღვიოთ ეს უსიამოვნო ტრადიცია.

— ალბანეთის ნაკრები ყოველ შესარჩევ ეტაპზე აუმჯობესებს თამაშს. ახლა ჯგუფიდან გასვლას ხომ არ გეგმავთ — პირველი ეს ვკითხეთ ერვინ შკელას...

— თამაშს მართლაც ვხვეწთ. ეს, ბუნებრივია, ბრიგელის დამსახურებაა. ევროპის ჩემპიონის დამარცხებამ კი საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა. თუმცა ჩვენ რეალისტები ვართ და ვფიქრობ, ჯგუფიდან გასასვლელად მზად ჯერ არ ვართ. შესარჩევ ეტაპზე კიდევ თერთმეტი მატჩი გვაქვს გასამართი და ისინიც ისეთ დონეზე უნდა ჩავატაროთ, როგორც საბერძნეთთან. ამისთვის კი სტაბილურობაა საჭირო, რაც ნამდვილად გვაკლია.

— თქვენი ნაკრების თამაშის ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ ბრიგელის დამსახურებაა?

— ბრიგელმა მართლაც ბევრი რამ შეცვალა. ჩვენს ხუთ-ექვს ფეხბურთელს ბუნდესლიგაში გაუწია რეკომენდაცია და დღეს ისინი იქ თამაშობენ. ეს კი ბევრს ნიშნავს.

— ბუნდესლიგაში ფეხბურთელები ქართველებსაც გვყავს...

— ვიცი, კობიაშვილი, იაშვილი და ცქიტიშვილი. ისინი მართლაც კარგი ფეხბურთელები არიან და



ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ერვინ შკელა

ბუნდესლიგაში ასეთივე სახელით სარგებლობენ. ისიც ვიცი, რომ თქვენ რამდენიმე საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელიც გყავთ. პირველს, ცხადია, კალაძეს გავიხსენებ. საერთოდ, საქართველოს ნაკრებს დიდ პატივს ვცემ და ძლიერ ნაკრებად მივიჩნევ.

— საბერძნეთის ნაკრების დამარცხების შემდეგ ქართველებთან რას გეგმავთ?

— ის თამაში რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ. თბილისში ურთულესი მატჩი გველის. საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მესამედ მომიწევს გამოსვლა. პირველად 1996 წელს თბილისში დავმარცხდით. ბოლოს ტირანაში ჩვენ აღმოვჩნდით უფრო ძლიერები, მაგრამ ვიცი, რომ მას შემდეგ თქვენს ნაკრებში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა. ამიტომაც თბილისში ფრეზეც თანახმა ვიქნები.

დავით ერაძე

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ქართულ-ალბანურ ბრძოლათა ვეტერანი, ფოტო სტრაყოშა

ფეხბურთი
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
9 სექტემბერი
მეოთხე ტური
ამერი — ლოკომოტივი-2
თბილისი — თბილისი
FC AMERI 2002
F.C. LOKOMOTIVE
დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატეხილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)

სა-ქა-რთვე-ლო! დღეს ყვირილის დღეა

geo_geo_fan@hotmail.com

ბადრი კეთილაძის ფოტო

დღეს ჩვენთვის დიდი მატჩია და ამ მატჩის წინ ჩავთვალე, რომ წერილები, რომელთაც დღეს დავბეჭდავდით, უფრო მოწოდებასავით უნდა ყოფილიყო: კმაყოფილები ვართ თუ არა ჩვენი ნაკრების თამაშით, გვჯერა თუ არა, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსვედრა შეუძლია, ჩვენ ვალდებულები ვართ, მას ვუქომაგოთ! დიახ, ვალდებულები ვართ, რადგან ნაკრები ჩვენი სამშობლოსია, სხვა სამშობლო კი არ გაგვაჩნია.

მაგრამ იმის უფლებას თავს ვერ მივცემ, რომ წერილები ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოგიდგინოთ, ანუ მოწოდებები დავბეჭდო, კრიტიკა კი ამოვაგდო. მით უფრო, რომ გულშემატკივართა კრიტიკულ შენიშვნებს ერთადერთი მიზანი აქვს — ხალხს სურს, ნაკრებმა უკეთ ითამაშოს

SUPERMARIO გვწერს:

„თუ ნაღდი გულშემატკივარი ხარ, სტადიონზე უნდა წახვიდე და ნაკრებს უქომაგო. განსაკუთრებით იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც თავის დღე და მოსწრება საქართველოს ნაკრების წაგებაზე დებს ფსონს. ალბანეთს უნდა მოვუგოთ და მოვუგებთ კიდეც, თუ კანკავა და ასათიანი თავიდანვე იქნებიან მოედანზე. დღეს ნაკრებს გულშემატკივარმაც უნდა მოაგებინოს. უბანში უსაქმურად დგომას საქართველოს ყვირილი სჯობია. ნაკრების ვეტერანებს კი ნუ გაკიცხავთ — არ არსებობს ფეხბურთელი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში თამაში არ სურს და როცა მწვრთნელი მათ იწვევს, ვერც ერთი ფეხბურთელი უარს ვერ იტყვის. მოკლედ, თუ ვინმე ინერტულია ნაკრებში, ეს მხოლოდ ალენ ჟირესის ბრალია. მისი მწვრთნელობა კი ალბანეთთან უფრო კარგად გამოჩნდება. ყველანი სტადიონზე, საქართველოს ყვირილით.“

MEZVRO:

„სალამი ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს! რაც უნდა იყოს, მაინც სტადიონისკენ მიმიწევს გული. როგორც არ უნდა გტკენდეს გულს თავისი უბადრუკი თამაშით ეს ჩვენი ნაკრები, სხვა გზა მაინც არ გვაქვს, გულშემატკივრებმა ჩვენი საქმე უნდა გავაკეთოთ, მივიდეთ სტადიონზე და ხმის ჩახლეჩამდე საქართველო ვიძახოთ. მეტი აბა ჩვენ რა შეგვიძლია?! ორი აზრი არ არის, ამ ნაკრებით ალბანეთის დამარცხება შეიძლება. მთავარი მონდომება და სწორი გეგმის განხორციელებაა. ისე, თურქეთთან როგორც ვითამაშეთ, მაგ თამაშით ალბანეთთან ფრეც შეიძლება სანატრელი გაგვიხდეს. შესაცვლელია თუნდაც შემადგენლობა. ჩემი აზრით, ძირითადში ჯამარას და რეხვოს კანკავა-ასათიანის თამაში ჯობია. ტაქტიკაც თურქეთისგან განსხვავებით შემტევი უნდა აირჩიოს ჟირესმა. ღმერთმა ქნას, 8-ში უკეთესობისკენ შეცვლილი ნაკრები ვიხილოთ.“

SIZMARA:

„მესიზმრა, რომ საქართველოსა და ალბანეთის მატჩი დამთავრდა, მაგრამ ვერ გავიგე, რა ანგარიშით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ნავაგეთ, მაგრამ არც მოვიგეთ. ასეთი ნაკრები მე არ მჭირდება. მე მსურს ვიცოდე, რა შეუძლია ჩემს ნაკრებს. მოუგებს თუ ვერა ალბანეთის ნაკრებს მაშინ, როცა გამარჯვება აუცილებლად სჭირდება. ჟირესმა ტრაპიზონში დაცვის სიმტკიცე აჩვენა, თუმც შეძლებს თუ არა მისი გუნდი საჭირო დროს შეტევას, დღეს გამოჩნდება. იმედია, რომ ჩემი სიზმრის ბოლო მატჩის დასრულებისთანავე გაირკვევა. კეთილ სიზმრებს გისურვებთ. ბევრი არ იფიქროთ დღევანდელ თამაშზე. მოდით სტადიონზე და უქომაგეთ საქართველოს ნაკრებს.“

BAGRATIONI888:

„მართალი გითხრათ, თურქეთთან თამაში ქართველი გულშემატკივრისთვის დამაიმედებლად დამთავრდა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ასეთი თამაშით გაგვიჭირდება ჯგუფიდან გასვლა. ნაკრებს ეტყობა, რომ ჯერ კიდევ შორსაა იმ სათამაშო კონდიციებისგან, რასაც გუნდური თამაში ჰქვია. ამასთანავე, ყველამ აშკარად დავინახეთ, რომ ფეხბურთელები წინა თამაშებისგან განსხვავებით ძალიან მონდომებულნი და ბრძოლისუნარიანნი ჩანდნენ. აქედან გამომდინარე, ალბანური ბარიერის დაძლევა არ უნდა გაგვიჭირდეს. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს, რომ მოცემული მომენტისთვის გოლის გატანა ძალიან გვიჭირს, მაგრამ იმედია, ეს მნიშვნელოვანი სათამაშო ხარვეზი აღმოიფხვრება.

და ბოლოს წერილი თელავიდან.

TELAVI:

„თუ ძმა ხარ, გამაგებინე, რომელ არხზეა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი? „იმედზე“ მეორე ტაიმის რეპორტაჟი ნერია პროგრამაში.“

თელაველო, სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რომელ არხზეა პირდაპირი რეპორტაჟი. რა თქმა უნდა, შემიძლია გავიგო, მაგრამ რაც ზუსტად ვიცი, იმას გეტყვი — პირდაპირი რეპორტაჟი „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეგიძლია ნახო და თუ რამე განსაკუთრებული პრობლემა არ გაქვს, ჩამოდი.

ბოლოს კი ამ დღეებში მოსული წერილების ერთგვარი რეზიუმე მინდა გავაკეთო.

წლიდან წლამდე ჩვენ, სარბიელელები შევეჩვიეთ, რომ ნაკრების თითქმის ყველა მატჩის მერე გულშემატკივრები გვირეკავდნენ და ეროვნული გუნდის მისამართით ისეთ სიტყვებს ამბობდნენ, გამეორება უხერხულია. ის სატელეფონო ზარები იმედდაკარგული ხალხისა იყო. მაგრამ წინა წლებში საქართველოს ნაკრები ხანდახან იგებდა კიდეც და მაშინ გულშემატკივარს ეიფორიის ნიშნებს ვამჩნევდით — ის სიხარული მოგებას დანატრებული ხალხის სიხარული იყო. მაგრამ ამავე დროს არ არსებობდა იმის ნიშნები, რომ საქართველოს ნაკრები აღმა გზაზე იყო შემდგარი.

ახლა კი რა მოხდა — საქართველოს ნაკრებმა ახალი ციკლის პირველ მატჩში კარგ შედეგს მიაღწია, მაგრამ გულშემატკივარში ეიფორიის ნიშნები გაქრა. ვფიქრობ, ხალხს აღარ სურს თავის მოტყუება, რომ ცუდი თამაშით მუდმივად შეიძლება გაგიმართლოს და ქულები აგროვო. ცუდი თამაშით შეიძლება ერთხელ, ორჯერ გაგიმართლოს და არ წააგო, მაგრამ სასურველ საბოლოო შედეგს ამ გზით ვერ მიაღწევ. ჩვენი მიზანი კი ერთ კონკრეტულ თამაშში ერთი კონკრეტული ქულის აღება არ არის. ჩვენ სხვა რამ გვინდა.

აი, ეს არის ამ დღეებში მიღებული წერილების შინაარსი და შეუძლებელია, მას არ დაეთანხმო. ხვალიდან კი დღევანდელ მატჩზე თქვენეული მოსაზრებები გამოგვიგზავნეთ.

WEB ოსტატი ბუარა

თამაშზე მოდიხარ? ბილეთი გაქვს?

ბადრი კეთილაძის ფოტოები

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

კოკუს ვან ბასტენი აინტერესებს

ფილიპ კოკუ

დღეს მარკო ვან ბასტენის ჰოლანდია ჩეხეთს უმასპინძლებს. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ამ გუნდებისთვის ამსტერდამული მატჩით იწყება. სანამ ესენი ისვენებდნენ, რუმინეთმა ორი შეხვერის მოგება უკვე მოასწრო და ჯგუფს სათავეში მოექცა. ჰოლანდიელები და ჩეხები ერთმანეთს ევრო 2004-ზეც შეეჩეხნენ და ის თამაში კარელ ბრუკნერის შეგირდებმა 3:2 მოიგეს. პორტუგალიური ტურნირის შემდეგ დიკ ადვოკაატი მოხსნეს, მარკო ვან ბასტენის ნაკრებში კი ბევრი ცვლილება მოხდა. ჩეხებთან დღევანდელ მატჩში ედვინ ვან დერ სარი, ედგარ დავიდსი და ჯონი ჰეიტინგა ითამაშებენ. რუუდ ვან ნისტელროი და არიენ რობენი ტრავმირებულნი არიან. იაპ სტამის, ფრანკ დე ბურის, მიხაელ რაიციგერისა და მარ ოვერმარსის არყოფნაში პსვ-ელი ფილიპ კოკუ ამბობს, რომ მას კვლავაც შეუძლია ნაკრებს დაეხმაროს: „ახალი მწვრთნელით და ახალი ფეხბურთელებით ჰოლანდიამ წარმატებას უნდა მიაღწიოს. მსურს, რომ ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი მეც ვიყო. ცხადია, გუნდის გადახალისება რთული პროცესია, მაგრამ მჯერა, რომ ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოიძებნება, რომლებიც ძველებს ღირსეულად შეცვლიან. სანაკრებო კარიერას ვინც ასრულებს, უკან აღარ ბრუნდება, მე კი ჯერ ვერ გავიხდი „ნარინჯისფერ“ მაისურას. ძალიან მაინტერესებს, რას შეძლებს მარკო ვან ბასტენი და მინდა, მას დავეხმარო. „ბარსელონაში“ რომ დავრჩენილიყავი, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავკარგავდი, აქ კი, ეინდჰოვენში, კვლავ მეძლევა მუდვივად თამაშის შანსი. ამიტომ ნაკრებთან გამომშვიდობებას არ ვაპირებ“.

მარკო ვან ბასტენის გუნდში დღეს შეტევაში „ფეიენოორდის“ ფორვარდები — დირკ კუიტი და რომეო კასტელენი ითამაშებენ. შესაძლოა, მათ პიერ ვან ჰოიდინკიც დაეხმაროთ, ხოლო დაცვაში ჰალიდ ბულარუზის, ანდრე ოიერს და ჰეიტანგას დაცვაში გაამწესებენ.

ჩეხთა თავკაც კარელ ბრუკნერეს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება, მათ შორის: პაველ ნედვედი, ტომაშ გალაშეკი, ვლადიმირ შმიცერი და კარელ პობორსკი, რომელსაც ყველაზე მეტი სანაკრებო მატჩი უთამაშია. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელებს ჩეხებთან ბოლო ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოუგიათ.

ანდორა – რუმინეთი

რუმინელები სტუმრად ანდორას ხვდებიან და მათ ორი მოთამაშე არ ეყოლებათ — ადრიან მუტუ და ფლორენტინ პეტრე. მუტუ მატჩს ორი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს, ხოლო პეტრეს ფეხის კუნთი სტკივა.

სომხეთი – ფინეთი

სომხები, რომლებიც ფინეთს უმასპინძლებენ, დისკვალიფიცირებულ არუთინ ვარდანიანს მოისაკლისებენ. ფორვარდი არმან კარამიანი ტრავმირებულა, მეკარე რომან ბერეზოვსკის კი სურდო შეეყარა.

ვაჟა ხუციშვილი

რუმინეთი	2	2	0	0	4:2	6
ფინეთი	2	1	0	1	4:2	3
მაკედონია	2	1	0	1	4:2	3
ჩეხეთი	0	0	0	0	0:0	0
ჰოლანდია	0	0	0	0	0:0	0
ანდორა	1	0	0	1	0:3	0
სომხეთი	1	0	0	1	0:3	0

I ჯგუფი

ჰოლანდია – ჩეხეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ვან დერ სარი, ბულარუზი, ოიერი, ჰეიტინგა, სნეიდერი, ვან ბომელი, დავიდსი, ვან დერ ვაარტი, კუიტი, ვან ჰოიდონკი, კასტელენი

ჩეხი, ჟირანეკი, ბოლფი, უიფალუში, იანკულოვსკი, ჰაინცი, ჰუბშმანი, როსიცკი, ტისი, ბაროში, კოლერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

ჰოლანდიელებმა თუ ჩეხებს მოუგეს, ჯონ ვანტ სხიპმა და მარკო ვან ბასტენმა ეგებ შამპანურითაც დაილოცონ





ლუიშ ფელიპე სკოლარი ნუნუ ვალენტეს ტრავმამ აღაშფოთა

ლუიშ ფელიპე სკოლარი ბალტიისპირეთს მიეგება

III ჯგუფი

ლუქსემბურგი – ლატვია
ჰორტუგალია – ესტონეთი
სლოვაკეთი – ლიხტენშტაინი

ორი არასრული ტურის შემდეგ ჯგუფში ესტონეთი ლიდერობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათ სტუმრად ჯერ ლიხტენშტაინს მოუგეს, მერე კი შინ ლუქსემბურგის დაჩაგვრაც არ გასჭირვებიათ. ლიდერებს დღეს ლისაბონში ევრო 2004-ის ფინალისტთან სტუმრობა ელით. პორტუგალიელებმა ლატვიელთა დამარცხება უკვე მოასწრეს და, ცხადია, ესტონელებთანაც სამ ქულას გეგმავენ. ლუიშ ფელიპე სკოლარის ნუნუ ვალენტე დააკლდება, რომელიც ლატვიასთან შეხვედრაში დაშავდა, მის ნაცვლად კი სავარაუდოდ რუი ჟორჟე ითამაშებს. ჯგუფის დანარჩენ ორ მატჩში ძლიერებს სუსტების დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ. ლატვია ლუქსემბურგს სტუმრობს, ხოლო სლოვაკეთი ლიხტენშტაინს მიიღებს.

ესტონეთი	2	2	0	0	6:1	6
სლოვაკეთი	2	1	1	0	4:2	4
პორტუგალია	1	1	0	0	2:0	3
რუსეთი	1	0	1	0	1:1	1
ლიხტენშტაინი	1	0	0	1	1:2	0
ლატვია	1	0	0	1	0:2	0
ლუქსემბურგი	2	0	0	2	1:7	0

სიმსუბუქე და მეტი არაფერი

IV ჯგუფი

ფარერები – საფრანგეთი

სავარაუდო შემადგენლობები

კნუდსენი, ოლსენი, ო. იოჰანესენი, ტორსტეინსონი, ი. იაკობსენი, ე ბორგი, დანიელსენი, ჯ. იონსონი, ბენიამინსენი, კ. იორგენსენი, ი. ჰანსენი, პეტერსენი, რ. იაკობსენი, ფრედერიკსბერგი

კუპე, გალასი, სკილაჩი, გივე, აბიდალი, პედრეტი, ვიეირა, ჟიული, პირესი, ანრი, ჯ. სისე

მსაჯი: კრეიდ ტომსონი (შოტლანდია)

რაიმონ დომენეკს პატრიკ ვიეირასი კვლავაც სჭერა

რაიმონ დომენეკის საფრანგეთი შინ ისრაელს დაუზავდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ „სამფეროვნებმა“ დღეს სტუმრად ფარერების დამარცხება ვერ შეძლონ. ამ ჯგუფში ფრანგები ფავორიტებად ითვლებიან, თუმც ებრაელებთან ნათამაშები ფრის შემდეგ მათი გულშემატკივრები შეშფოთდნენ. „ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ახალ გუნდს ვაკეთებთ, მაგრამ მსოფლიოში კვლავაც ანგარიშგასაწევ ძალად ვრჩებით. ჩემი ფეხბურთელები რატომღაც დაძაბულნი იყვნენ. მათ მეტი სიმსუბუქე სჭირდებათ. ბევრი რამ უნდა გავაუმჯობესოთ. ახლა უმთავრესი შეთამაშებაა, რასაც სწრაფად ვერ მოვახერხებთ“ + დასძინა დომენეკმა.

საფრანგეთი ფარერებთან ჩვეულ 4-4-2-ს დაუბრუნდება. დაცვაში გალასი, სკილაჩი, გივე და აბიდალი ითამაშებენ. ნახევარდაცვაში ბენუა პედრეტის პატრიკ ვიეირას, ლუდოვიკ ჟიულისა და რობერ პირესს გაამწესებენ, ხოლო კუნძულელებისთვის გოლების გატანა ჯიბრილ სისესა და ტიერი ანრის დაევალებათ.

ისრაელი – კვიპროსი

სტუმრებს ორი ფეხბურთელი გამოუკეთდათ. გეორგიუს კონსტანტინუმ და ნიკოს ნიკოლაუმ ტრავმები მოიშუშეს. ისინი ისრაელის წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებენ.

შვეიცარია – ირლანდია

ეს გუნდები ერთმანეთს ევრო-2004-ის შესარჩევ ჯგუფში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ირლანდიელთა ნახევარმცველ დემიენ დაფის თამაში ტრავმის გამო საეჭვოა. შესაძლოა, დაფი დაშავებულ ჯონ ოშის მიუჯდეს გვერდით. „დაფს არ უვარჯიშია, თქვა ირლანდიელთა მწვრთნელმა ბრაიან კერიმ — მაგრამ ვნახავთ, როგორ ჯანზე იქნება ოთხშაბათს“.

ვაჟა ხუციშვილი

შვეიცარია	1	1	0	0	6:0	3
ირლანდია	1	1	0	0	3:0	3
საფრანგეთი	1	0	1	0	0:0	1
ისრაელი	1	0	1	0	0:0	1
კვიპროსი	1	0	0	1	0:3	0
ფარერები	1	0	0	1	0:6	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

V ჯგუფი

მოლდოვა – იტალია

სავარაუდო შემადგენლობები

ხმარუკი, კოვალენკო, ლაშენკოვი, ოლექსიკი, კატინსუსი, პრიგანიუკი, კოვალჩუკი, ს. ივანოვი, როგაჩოვი, ჩებოტარი, მიტერევი

ბუფონი, ოდო, ნესტა, მატერაცი, ფავალი, დიანა, ამბროზინი, პირლო, ძამბროტა, დელ პიერო, კორადი

მსაჯი: მიხალ ბენეში (ჩეხეთი)

მარჩელო ლიპი ლუკა ტონის სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე დასვამს

კარგად უნდა ვიყო

ესა, ის ჯი არ არის... ნაჯრებია, ნაჯრები!

დღეს, მოლდოვაში, იტალიის ნაკრების თავდასხმა, სავარაუდოდ ალესანდრო დელ პიეროსა და ბერნარდო კორადის წყვილისგან იქნება შედგენილი. მოგეხსენებათ, შაბათს, „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში „იუვენტუსის“ ვარსკვლავი არ თამაშობდა (პირველ შეხვედრაში იტალიამ ნორვეგიას 2:1 მოუგო), ახლა კი იგი მზად არის მოედანზე დაბრუნდეს.

„თავს კარგად ვგრძნობ და ჩემი ფიზიკური მდგომარეობით კმაყოფილი ვარ — ამბობს დელ პიერო — დღეს კი მხოლოდ ეს, ფიზიკური მდგომარეობა მაინტერესებს“.

მოლდოვში ჩასულმა იტალიელებმა პირველ ვარჯიშზე ყურადღება სწორედ დელ პიეროსა და კორადის წყვილად მუშაობით მიიპყრეს. თუ გავიხსენებთ, რომ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ ამასწინათ განაცხადა, რომ პირველ მატჩში დაღლილ ფეხბურთელთაგან ხუთს ან ექვსს შეცვლის, ბუნებრივად გაჩნდება ეჭვი, რომ დღეს მოლდოვას ნაკრებს ალბერტო ჯილარდინოსა და ფაბრიციო მიკოლის წყვილი კი არა, ზემოხსენებული დუეტი შეუტევს.

კიდევ, სავარაუდოა, რომ ნახევარდაცვაში გამოჩნდნენ, აიმო დიანა, მასიმო ამბროზინი და ანდრეა პირლო. არ არის გამორიცხული, ლიპიმ მარცხენა მცველად ჯანლუკა ძამბროტა დააყენოს — ძამბროტა ნორვეგიასთან ნახევარდაცვაში გამოდიოდა. და თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მაშინ, სავარაუდოდ, სტეფანო ფიორე ნახევარდაცვაში მარცხნივ ითამაშებს და არა მარჯვნივ.

ზემოთ კი ჯილარდინო ვახსენეთ და მოდით, მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. ბრწყინვალე გასული სეზონისა და 21 წლამდელთა ნაკრებში მიღწეული წარმატებების შემდეგ ჯილარდინომ ნორვეგიელებთან უკვე დიდ ნაკრებში ითამაშა სადებიუტო მატჩი და... გოლი ვერ შეაგდო, რაც ბევრს რატომღაც გაუკვირდა.

„ეტყობა, ჩემს გოლებს ძალიან შეეჩვიეთ. დიახ, როგორც ხედავთ, შესაძლებელია თამაში ისე დამთავრდეს, რომ მე გოლი ვერ შევაგდო. საერთოდ, რომელი გუნდის სახელითაც მითამაშია, ყველგან გოლი მაქვს გატანილი, მაგრამ დიდი ნაკრებების დონეზე ვარჯიში რომ ვარჯიშია, იქაც კი მნელია ბურთის კარში შეგდება. მერედა, მართალია ნორვეგიელების წინააღმდეგ მოტივაცია არ მაკლდა, ასი პროცენტით მზად არ ვარ. მოკლედ, ვიცი, რომ დიდებულად ვერ ვითამაშე, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მატჩის გარშემო დაძაბულობა იყო ძალიან მაღალი და არც მოედნის ხარისხი მიწყობდა ხელს. სხვა საქმეა, რომ



ძირითადში არც დანიელე დე როსი იჭნება

ბოლო კვირაში გაწეული სამუშაოთიც კმაყოფილი ვარ და შედეგითაც. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოლდოვაშიც თუ მათამაშებენ, მით უფრო დელ პიეროსთან წყვილში, თუმცა მწვრთნელმა მითხრა, რომ რაღაცეების შეცვლას აპირებს და ამიტომ ჯობს დავიცადო და ვნახო რა იქნება“ — თქვა პარმელმა ბომბარდირმა.

პაპუნა კედია

ანდერსენი ბავშვს ელის



შოტლანდიას კაპიტანი ბარი ფერგიუსონი დაუბრუნდა...

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა თქვა, რომ მისი ნაკრები ამ შესარჩევ ციკლში მეორე ადგილზე გასვლას და პლეი ოფში მოხვედრას ეცდება. სქოთები დღეს სლოვენიას მასპინძლობენ. ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში შოტლანდიელები შინ ლოთარ მათეუსის უნგრეთთან დამარცხდნენ, სლოვენიელებმა კი პირველ შესარჩევ მატჩში მოლდოველებს სძლიეს იოლად.

ჯგუფის ფავორიტად იტალია ითვლება, ხოლო სლოვენიას, ნორვეგიას და შოტლანდიას მეორე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

„ეს შეხვედრა მეორე ადგილისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტია — განაცხადა ფოგთსმა — თუმც არ გამოვრიცხავ, რომ შინ იტალიასაც მოვუგოთ. სლოვენია საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი გუნდია, ჩვენ კი გვყავს ჯიგარი გულშემატკივრები, რომლებმაც „ჰემპდენ პარკი“ უნდა შეავსონ და გვიქომაგონ“.

აღსანიშნავია, რომ „სქოთებს“ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შემდეგ დიდ ტურნირებზე არ უთამაშიათ.

სლოვენიელმა ზლატკო ზაჰოვიჩმა სანაკრებო კარიერა ამ წლის დასაწყისში დაასრულა, მაგრამ სტუმრებს სამი გამორჩეული მოთამაშე მაინც ჰყავთ: „ბრიუგეს“ ნახევარმცველი ნასტია ჩეჰი, „ლილის“ ფორვარდი მილენკო აჩიმოვიჩი და „პარმას“ თავდამსხმელი ზლატკო დედიჩი.

შოტლანდიელთა შემადგენლობაში იქნებიან ჯეკი მაკნამარა, ბარი ფერგიუსონი, ნაიჯელ ქვოში და დარენ ფლეტჩერი. „ბოლო საშინაო შეხვედრებში ქომაგები გავაწბილეთ, მაგრამ ამჯერად სლოვენიასთან თავს არ შევირცხვენთ“ — გულმოსულია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ფლეტჩერი. ითამაშებს თუ არა მცველი სტივენ პრესლი, დღეს ექიმები გაარკვევენ.

ნორვეგია – ბელარუსი

ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელ აგე ჰარეიდეს ზედიზედ რვა მატჩში მარცხი არ ეგემა, სანამ „ვიკინგები“ გასულ შაბათს იტალიაში წააგებდნენ. „ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, მიუხედავად იმისა, რომ მარჩელო ლიპის გუნდთან შეხვედრა დავთმეთ — ამბობს ჰარეიდე — მოსამზადებელი პერიოდი კარგად გამოვიყენეთ და ბიჭებმა იციან, თუ რა უნდა აკეთონ“.

სანაკრებო კარიერა დაასრულა ტორე ანდრე ფლომ, თუმც მწვრთნელი ამას არ შეუწუხებია: „მის შემცვლელს აუცილებლად მოვძებნით, ჩემი გუნდი განსხვავებულ ფეხბურთს ითამაშებს. შევეცდებით, ბურთი დიდხანს ვაგოროთ და მეტოქე მოედნის შუაში „გავჭრათ“. დარწმუნებული ვარ, მეტოქეებს ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ. წარსული უნდა დავივიწყოთ, ახალი

შოტლანდია – სლოვენია

სავარაუდო შემადგენლობები

დ. მარშალი, გ. კოლდუელი, ვებსტერი, მაკეი, ნეისმიტი, მაკნამარა, ბ. ფერგიუსონი, ქვოში, ფლეტჩერი, მაკფადენი, კროუფორდი

ბ. მავრიჩი, კარიჩი, მ. მავრიჩი, კნავსი, შილიაკი, ნ. ჩეჰი, კომაცი, პოკორნი, შეშლარი, აჩიმოვიჩი, დედიჩი

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)



– მცველი სტივენ პრესლი კი ტრავმას შეუწუხებია

გუნდის შექმნა გვჭირდება. ჩვენს ფორვარდებს აქამდე ბევრი გოლი გაჰქონდათ და ვიმედოვნებ, შედეგიანობა ახლაც არ იკლებს. მთავარია ბიჭებმა საკუთარი შესაძლებლობები ირწმუნონ და მერე არ გაგვიჭირდება. იტალია ჯგუფში ფავორიტია და ალბათ, მეორე ადგილისთვის ბრძოლა მოგვიწევს“.

ნორვეგიელთა კაპიტანმა მარტინ ანდერსენმა შესაძლოა მატჩი გამოტოვოს, რადგან მისი მეულლე ფეხმძიმედაა და ბავშვს ელის, აგე ჰარეიდემ თქვა, ბავშვის დაბადება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ბელარუსთან შეხვედრაო.

ვაჟა ხუციშვილი

სლოვენია	1	1	0	0	3:0	3
იტალია	1	1	0	0	2:1	3
შოტლანდია	0	0	0	0	0:0	0
ბელარუსი	0	0	0	0	0:0	0
ნორვეგია	1	0	0	1	1:2	0
მოლდოვა	1	0	0	1	0:3	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

VI ჯგუფი

პოლონეთი – ინგლისი

სავარაუდო შემადგენლობები

დუდეკი, მილა, რუასა, ჟევლაკოვი, გლოვაცკი, ბაკი, ზინჩუკი, კრჟინოვეკი, ჟორავსკი, ლევანდოვსკი, რასიაკი

ჯეიმსი, გ. ნევილი, ტერი, კინგი, ე. კოული, ბექემი, ჯერარდი, ლამპარდი, ბრიჯი, ოუენი, დეფო

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

დევიდ ჯეიმსი

დევიდ ბექემი

იმედი და ჯიჯი

ინგლისის ნაკრები გულამღვრეული ჩასულა პოლონეთს, ვენაში უვარგისად ნათამაშევი ფრეს შემდეგ. ბრიტანული მედია კბილებს ილესავს ნაკრებსა და მის მწვრთნელზე, პოლონელები კი კარგ ხასიათზე არიან ჩრდილოეთ ირლანდიაში 3:0 მოგების შემდეგ.

სვენ გორან ერიკსონს უკვე ნათქვამი აქვს, რომ გადადგება, თუკი ნაკრებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანს. იქამდე ჯერ შორია, მაგრამ შვედის პოზიციების სიმაგრე სწორედ დღევანდელი მატჩის შედეგზე არ იყოს დამოკიდებული.

ტრავმებით ტანჯულ ინგლისელებს ქვა აღმართში ეწევათ: ამბობენ, რომ სათუოა დევიდ ბექემის თამაშიც. თორემ სოლ კემპბელი, რიო ფერდინანდი და უეინ რუნი ისედაც არ არიან. თუკი ბექემი ჯანმრთელობის ტესტს ვერ გაივლის, ერიკსონს მოუწევს ახალბედა შონ რაიტ-ფილიპსის სასტარტოში გამოყვანა.

საერთოდ კი ერიკსონი ავსტრიელებთან ნათამაშევი გუნდის დიდად გადახალისებას არც აპირებს. თამაშს ოპტიმისტურად უყურებს პაველ იანასი, პოლონელთა მწვრთნელი: „ჩვენ იმისთვის ვიბრძვით, რომ მეორე ადგილი მაინც დავიკავოთ ჯგუფში. ირლანდიაში ჟურავსკი და კრჟინოვეკი შევცვალე, რომ დღეისათვის დამესვენებინა“.

პოლონელთაგან ვერ ითამაშებს ლეგიელი ფორვარდი პიოტრ ვლოდარჩიკი, რომელმაც ბელფასტში წითელი ბარათი მიიღო.

ირაკლი გამყრელიძე



სვენ გორან ერიკსონი

ავსტრია – აზერბაიჯანი
უელსი – ჩრდ. ირლანდია

პოლონეთი	1	1	0	0	3:0	3
ავსტრია	1	0	1	0	2:2	1
ინგლისი	1	0	1	0	2:2	1
აზერბაიჯანი	1	0	1	0	1:1	1
უელსი	1	0	1	0	1:1	1
ჩრდ. ირლანდია	1	0	0	1	0:3	0

არაგონესის არაგრადიციული

VII ჯგუფი

ბოსნია – ესპანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ჰასაგიჩი, სალიჰამიჯიჩი, ბაიჩი, სპაჰიჩი, მუსიჩი, გრუიჩი, ბარბარესი, ბესლია, ბალიჩი, მისიმოვიჩი, ბოლიჩი

კასილიასი, სალგადო, პუიოლი, ელგერა, რომერო, რეიესი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, რაული, მორიენტესი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

ლუის არაგონესი, ევროპელ მწვრთნელთაგან უხუცესი თუ არა, უხუცესთაგანი, დღეს პირველად გაუძღვება ესპანეთის ნაკრებს ოფიციალურ მატჩში. შესარჩევ ციკლს კი ესპანელები ბოსნიასთან შეხვედრით იწყებენ.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ესპანეთის ნაკრები ძალიან ძლიერია ამხანაგურ მატჩებსა და შესარჩევ ტურნირებში, აი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე კი ვერაფერს ხდება. მაგრამ ბოლო ხანს ტრადიციას წყალი შეუდგა. ჯერ იყო და, წინა მუნდიალის შესარჩევში ესპანეთმა ვერ ითამაშა მაინცდამაინც დამაჯერებლად და ასევე უსახურად გამოიყურებოდა ბოლოდროინდელ ამხანაგურ შეხვედრებში.

რაც არაგონესი ნაკრების მწვრთნელია, ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და შთაბეჭდილება მოახდინაო, ვერ გეტყვით. წინა პარასკევს, შოტლანდიასთან საკონტროლო მატჩს საერთოდ არ ეწერა დასრულება, რაკი ვალენსიაში მინდორი ისედაც წვიმით იყო დამშრალი და ყველაფერს, თამაშის დაწყებიდან ერთი საათის თავზე შუქის ჩაქრობაც დაემატა.

იმ არასრულ მატჩზე კი რუბენ ბარახას კომენტარი ასეთია: „დიახ, შოტლანდიელებთან კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ბოსნიასთან, გარწმუნებთ, სულ სხვა ნაკრებს ნახავთ. ჩვენ კარგად გვესმის, რას ნიშნავს ოფიციალურ მატჩში ქულების აღება. მთავარი კი ის არის, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა ზუსტად ვიცით, თუ კონკრეტულად რას ითხოვს ჩვენგან მწვრთნელი. ხოლო გამართული ტაქტიკა გამარჯვების საწინდარია“.



რუბენ ბარახა



ლუის არაგონესი ევროპელ მწვრთნელთაგან უხუცესი თუ არა, უხუცესთაგანია

დღევანდელ მატჩში ესპანეთის ნაკრებს სავარაუდოდ ფერნანდო მორიენტესი დაუბრუნდება, ვინაც ფერნანდო ტორესს შეცვლის. სასტარტო შემადგენლობაში უნდა იყოს რაულიც, რომელიც სქოთებთან მატჩს დაწყებისას სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ბოსნიელთა მწვრთნელმა სლიშკოვიჩმა კი თქვა: „წაგების შესაძლებლობის გამოვრიცხავთ. ამას არც კი ვუშვებთ“.

ირაკლი ნინიძე

ლიტვა – სან მარინო

სერბეთი	1	1	0	0	3:0	3
ბელგია	1	0	1	0	1:1	1
ლიტვა	1	0	1	0	1:1	1
ბოსნია	0	0	0	0	0:0	0
ესპანეთი	0	0	0	0	0:0	0
სან მარინო	1	0	0	1	0:3	0

VIII ჯგუფი

შვედეთი – ხორვატია
უნგრეთი – ისლანდია

ჩემი შვილი ითამაშებს

ხორვატიის ნაკრები შვედეთს ესტუმრა, რომელმაც მალტა 7:0 გაანადგურა. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი ჰოკერი შეასრულა. ხორვატთა მწვრთნელ ზლატკო კრანჩარს გუნდში მისი შვილის, ნიკო კრანჩარის აყვანას უწუნებენ, მაგრამ მწვრთნელი შეუვალია და თქვა, რომ სტოკჰოლმში იმავე ნაკრებს ჩაიყვანს, რამელმაც უნგრეთს 3:0 მოუგო. „ნიკომ უნგრელებთან საკმაოდ კარგად ითამაშა და ამიტომ არ ვაპირებ მის დატოვებას შემადგენლობის გარეთ. შვედებმა მალტას სძლიეს, ჩვენ კი უნგრელებს მოვუგეთ, ამიტომ მჯერა, რომ სტოკჰოლმიდან ქულის წაღებას შევძლებთ“.

შვედთა ნაკრებში კვლავ ითამაშებს ჰენრიკ ლარსონი, რომელმაც მალტელებთანაც გამოიჩინა თავი: „ეფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა ევრო 2004-ის დაწყებამდე ნაკრებში დავბრუნდი. ყოველთვის მსურდა ჩემი ქვეყნის დროშის ქვეშ თამაში და მინდა, რომ კვლავაც დავეხმარო წარმატების მიღწევაში. არ ვიცი, როდის შევეშვები ნაკრებში თამაშს, მაგრამ სანამ შემეძლება ძალ-ღონეს არ დავიშურებ“.

ლოთარ მათეუსის უნგრეთი ისლანდიას მიიღებს. კუნძულელებმა ამას წინათ მარჩელო ლიპის იტალიას ამხანაგურად მოუგეს და, როგორც ჩანს, ხელწამოსაკრავი გუნდი არაა.

ვაჟა ხუციშვილი

შვედეთი	1	1	0	0	7:0	3
ხორვატია	1	1	0	0	3:0	3
ბულგარეთი	1	1	0	0	3:1	3
ისლანდია	1	0	0	1	1:3	0
უნგრეთი	1	0	0	1	0:3	0
მალტა	1	0	0	1	0:7	0

ჰენრიკ ლარსონი: ეროვნული გუნდისთვის კიდევ გავიტანო!

ამხანაგური მატჩი. დღეს
გერმანია – ბრაზილია

სავარაუდო შემადგენლობები

გერმანია: კანი, ჰინკელი, ბაუმანი, ფარენჰორსტი, ლამი, შნაიდერი, დაისლერი, ბალაკი, ფრინგსი, კურანი, ბრდარიჩი

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ბელეტი, ედმილსონი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანო, ჟილბერტო სილვა, ედუ, რონალდინიო, რონალდო, ადრიანო



იურგენ კლინსმანს სებასტიან დაისლერის იმედი აქვს

სისულელე შურისძიებისა

დაისლერისთვის საჩუქრები მოაქვთ

ტრავმებითა და დეპრესიით მოწამლული წლის შემდეგ სებასტიან დაისლერს ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება მოედანს.

„ჩემთვის ნამდვილად ახლიდან იწყება ყველაფერი — თქვა „ბაიერნის“ ნახევარმცველმა. ბერლინში ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრის წინ — თავს ისე ვგრძნობ, რომ ჩემთვის ყოველი ვარჯიში და ყოველი შეხვედრა ცხოვრების საჩუქარია“.

დაისლერი, რომელიც სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული უნიკალურ ფეხბურთელად იყო შეფასებული დღეს 24 წლისაა. მისმა ნიჭმა საგანგებო ყურადღებასთან ერთად საგანგებო წნეხიც მოუტანა, რასაც შემდეგ ტრავმები და პირადი პრობლემებიც დაერთო და ამ ყოველივემ ფეხბურთელი დეპრესიულ მდგომარეობაში ჩააგდო.

„ამ ყველაფერზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ახლა უკვე წარსულია — განაცხადა დაისლერმა — მე მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისთვის ვემზადები და ვგრძნობ, რომ თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებ და ვაუმჯობესებ“.

გერმანიის ნაკრების ახალ მწვრთნელს, იურგენ კლინსმანს იგი თავისი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად მიაჩნია და წინა შეხვედრაში, ავსტრიასთან (3:1), „ბაიერნის“ თავკაცს, ფელიქს მაგათს რომ არ შეეშალა ხელი, აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას.

და აი, ახლა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ამხანაგური ვარიანტია — გერმანია ბრაზილიას ხვდება. ორი წლის წინ, მოგეხსენებათ, ბრაზილიამ 2:0 მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

იმ დღეს, ფინალში, რონალდოს ერთ-ერთი დარტყმა გერმანიის ნაკრების მეკარემ ოლივერ კანმა თავისი უხეში შეცდომის გამო გაუშვა. ბუნებრივია, ჟურნალისტებმა ის ამბავი ახლა თავიდან გაიხსენეს და კანის განცდებით დაინტერესდნენ, მაგრამ ფეხბურთელმა თქვა, რომ ეს მისთვის მორიგი მატჩია და მეტი არაფერი.

„ორი წლის წინანდელი ფინალი დღეს ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია — უთხრა „ბაიერნის“ კაპიტანმა ჟურნალისტებს — ეს მატჩი არის ერთი იმათგანი, რომელთაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე გავმართავთ და მისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებას აზრი არა აქვს. შურისძიებაზე საუბარი ხომ საერთოდ სისულელეა“.

ოლივერ კანი: არ მწყინს, მე კლუბს ვკაპიტნობ, ბალაკი ნაკრებს

შემდეგ კანს იურგენ კლინსმანის ის ნათქვამი შეახსენეს, სადაც ახალმა მწვრთნელმა მისი და „არსენალის“ კარის მცველის, იენს ლეგმანის მომავალ კონკურენციაზე გამახვილა ყურადღება.

„ჩვენ მოვძებნით ამ მდგომარეობისთვის თავის მობმის საშუალებას — მიუგო ვეტერანმა — მე უპირატესად ის მომეთხოვება, რომ ორი წლის განმავლობაში კონკურენტუნარიანობა არ დავკარგო, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, კარსაც ის დაიცავს.

გავიხსენოთ კიდევ ერთი თემა: კანი ადრე გერმანიის ნაკრების კაპიტანიც იყო, ხოლო მწვრთნელად კლინსმანის მისვლის შემდეგ მას სამკლავური ჩამოართვეს და მიხაელ ბალაკს გადასცეს.

„მე კლუბს ვკაპიტნობ, მიხაელი — ნაკრებს. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის. მე სულ სხვა რამ მინდა: რაც შეიძლება კარგად ვთამაშობდე“ — თქვა მეკარემ.

პაპუნა კედია

ნიუკასლმა სუნესი იპოვა

გრემ სუნესი ნიუკასლში სიხარულით გაიქცა



ფრედი შეპარდი

მაშ „ნიუკასლს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს: 51 წლის გრემ სუნესი.

სუნესმა „ბლექბერნი“ მიატოვა და სიხარულით გაქანდა, „ნიუკასლში“ იმის ძახილით, რომ კაცმა ხელიდან არ უნდა გაუშვას დიდი კლუბის გაწვრთნის შესაძლებლობა.

საერთოდ კი, სერ ბობი რობსონის დათხოვნის შემდეგ „ნიუკასლის“ თავმჯდომარემ ფრედი შეპარდმა გვარიანი ინტრიგა ჩააზვია ახალი მენეჯერის მოსაძებნად. ის ამბობდა, რომ გუნდის მესაჭედ აუცილებლად პრემიერლიგელი მენეჯერი უნდა და ცდილობდა სტივ ბრიუსი, სემ ალარდაისი ან დევიდ ოლირი გადაებირებინა. რაც შეეხება სუნესს, ის უფრო ტოტალიზატორთა სიებში ჩანდა და თანაც გვარიანი ფსონით 33-1-ზე.

გასულ უქმეებზე საქმე ისე იყო, რომ ბევრი ამბობდა, „ნიუკასლის“ სათავეში ეგებ ნაცადი ტერი ვენეიბლზიც კი მივიდეს, რახან შეპარდი პარასკევს ესაუბრა ამ პენსიონერსო.

თუმც, ორშაბათს მოულოდნელი ამბავი მოხდა, სუნესმა საჩქაროდ დატოვა „ბლექბერნი“ და თუმც არაოფიციალურად, მაგრამ მაინც გამოცხადდა „ნიუკასლის“ მენეჯერად. სუნესმა კი თქვა „ბლექბერნში“ ძალიანაც ეწყინათ ჩემი ასეთი ნაბიჯიო, მაგრამ ვითარება „ივუდ პარკზე“ სულ სხვა ყოფილა: კლუბს, მენეჯერით სრულიად უკმაყოფილოს, მისთვის ორი თამაში მიუცია თავის გადასარჩენად. ანუ ორ კვირაში სუნესი ეგებ მოეხსნათ კიდეც. და ბედი არ გინდა, ამ შაბათს „ბლექბერნს“ სწორედ „ნიუკასლთან“ აქვს შეხვედრა და მატჩი, რომელიც სუნესის სავარაუდო სასაფლაო უნდა ყოფილიყო, მისი საკარიერო წინსვლის თამაშად კი გადაიქცა. თუმც, ნაკლებსავარაუდოა, რომ შაბათს სუნესი ნიუკასლელად ჩავიდეს ბლექბერნში. „ბლექბერნის“ ფეხბურთელებს დიდად არ უყვარდათ სუნესი, ადამიანებს უხეშად ექცევაო. სახალხოდ მხოლოდ მისი და იორკ-კოულის წყვილის ჩხუბი გახმიანდა, თუმც ამგვარი ეპიზოდი ბევრი იყო. ამ ზაფხულს კი სუნესმა ვარჯიშზე მისულ კლუბის შეფს, ჯონ უილიამსს უღრიალა, აქედან გაეთრიეო. ჰოდა, ახლა, ჯონმა ყოველგვარი გართულების გარეშე გაუშვა ცხელგულა სქოთი „ნიუკასლში“. დროებით მენეჯერად „ბლექბერნში“ ტონი პარკსია, თუმცა, კლუბში უკვე შემოსულია ბარე 20 მწვრთნელის განცხადება. სუნესის სავარაუდო შემცვლელები გორდონ სტრაჩანს, მარკ ჰიუზს და მარტინ ნიუელს შორის უნდა ვეძებოთ.

„მუშაობას ალბათ მომავალი ორშაბათიდან დავიწყებ, მანამდე მინდა ცოტა დავისვენო და ჩემს ბაღში წავიმუშავო“ — ამბობს სუნესი. მისი ყოფილი ბოსი, უილიამსი კი უთანხმოებას უარყოფს და გრემს გზას ულოცავს, აქაც კარგი კაცი იყო, იქაც კარგი იყოსო.

ირაკლი გამყრელიძე

რატომ მოჯი?

იბრაჰიმოვიჩი ოქროს გუნებაზეა, იანკულოვსკი დაბნეული

ფაბიო კაპელოს უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს

ახლა ირკვევა, რომ შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შესაძენად „იუვენტუსს“ ორი კონკურენტის დამარცხება მოუხერხებია — მოგეხსენებათ, „ბებერმა ქალბატონმა“ აქამდე ამსტერდამის „აიაქსში“ მოთამაშე იბრაჰიმოვიჩი წინა კვირაში სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს, ფაქტობრივად, ბოლო საათებში იყიდა.

„კიდევ ორი კლუბისგან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ მე „იუვეში“ გადმოსვლა ვამჯობინე — განაცხადა ზლატანმა „შპორტბლადეტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში — ჩემი სურვილი ყოველთვის „იუვენტუსში“ თამაში გახლდათ და როდესაც შევიტყე, რომ ამ გუნდსაც ვაინტერესებ, ძალიან გამეხარდა“.

დღეს 20 მილიონ დოლარზე მეტად, და რაც მთავარია სრულიად მოულოდნელად ნაყიდი იბრაჰიმოვიჩი იტალიური თავგადასავლისთვის მზად არის:

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

„მგონი, იტალიაში უფრო გამიჭირდება, ვიდრე ჰოლანდიაში, მაგრამ მთავარია, რომ ცნობილი კლუბების და ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში ჩემთვის დიდი პატივია. ვფიქრობ, „იუვენტუსს“ კარგი შანსი აქვს წარმატებას მიაღწიოს, როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში“.

ერთი სიტყვით, ვინ არის ის ორი კლუბი, რომელსაც ტურინელებმა იბრაჰიმოვიჩი ხელიდან გამოაცალეს, არ სახელდება. ეჭვია, რომ ერთი მათგანი უნდა იყოს „რომა“, რომელსაც წინა წლებში „იუვეს“ დღევანდელი თავკაცი, ფაბიო კაპელო ხელმძღვანელობდა და მაშინვე ძალიან ცდილობდა შვედი ფორვარდის გადაბირებას, თუმცა დაზუსტებით ესეც არ არის ცნობილი.

ამასობაში კი კაპელოს გულის გასახარად იბრაჰიმოვიჩმა შვედეთის ნაკრების შემდგენლობაში გამოიჩინა თავი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, მალტასთან, რომელიც შვედებმა 7:0 მოიგეს, ზლატანმა ოთხი გოლი გაიტანა.

„ამ გოლებს ჩემს დას ვუძღვნი — დასძინა იბრაჰიმოვიჩმა — საერთოდ კი, ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი წარმატებით დაიწყოს“.

ასეთი გახლავთ ამბავი გახარებული შვედისა და „იუვენტუსის“ წარმატებული ტრანსფერისა, მაგრამ „იუვენტუსს“ გასულ სატრანსფერო სეზონში მხოლოდ წარმატებული ტრანსფერ-კომბინაციები როდი ჰქონდა: მაგალითად, ჩეხი ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი თვით „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა, ყოვლისშემძლეობით ცნობილმა ლუჩანო მოჯიმაც ვერ იყიდა და თან რომელიმე დიდი კლუბისგან კი არა, მხოლოდ და მხოლოდ „უდინეზესგან“. თან დახეთ, იბრაჰიმოვიჩი მოჯიმ „აიაქსისგან“ მას მერე შეიძინა, რაც ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა ჩატარდა და „იუვე“ ამსტერდამელების ჯგუფში მოხვდა. ერთი სიტყვით, „ბებერმა ქალბატონმა“ ისე ქნა, რომ ფეხბურთელი, რომელსაც ლიგის პირველსავე ტურში მისთვის უნდა შეეტია, ახლა ყოფილ გუნდს შეუტევს. აი, იანკულოვსკის შემთხვევაში კი სხვანაირად გამოვიდა.

როგორც ტურინში ამბობენ, მოჯი „უდინეზეს“ იანკულოვსკიში თითქმის ხუთ მილიონ დოლარს აძლევდა და მის სანახევრო ფლობას სთავაზობდა, თუმცა უდინელთა შეფი ჯამპაოლო პოცო იჟინებს, რომ ეს უბრალოდ ტყუილია და თუ საქმე საქმეზე მიდგება, „იუვეს“ გენერალურ დირექტორს უბრალოდ უჩივლებს.

„თავიდან ისინი იანკულოვსკის მიქირავებას მთხოვდნენ, ხოლო ყიდვა უკვე შემდეგ ახსენეს. რა გამოდის? თუ ფეხბურთელს მხოლოდ და მხოლოდ ქირაობ, ესე იგი მთლად ბოლომდე ვერ ენდობი, ხომ მართალია?“ — ამბობს პოცო.

შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე ჩეხს მოსკოვის ცსკა-ც ეპატიჟებოდა. ამაზე პოცო ამბობს, რომ იანკულოვსკიმ მოსკოველთა წინადადებაზე თავიდან ყაბული თქვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა:

„მას მერე, რაც იანკულოვსკიმ ხუთწლიან ვარიანტზე თანხმობა განაცხადა, საქმე უკვე მოგვარებული იყო, მარეკი აქ უდინეში, ფეხბურთელებს დაემშვიდობა კიდეც, მაგრამ ბოლოს გადათქვა“...

როგორც ჩანს, იანკულოვსკი ფეხბურთელებით მოვაჭრეებმა გვარიანად დააბნიეს და თავგზა აურიეს, მაგრამ მოვა იანვარი და სატრანსფერო ფანჯარა ისევ გაიღება. რა მოხდება მაშინ?

პოცო: „ის ჩვენთან კიდევ ორი წლით არის შეკრული და შეგვიძლია კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც კი ვიმუშაოთ, ან... შეუძლია რომელიმე სხვა კლუბი მოძებნოს“.

პაპუნა ძედია



მარეკ იანკულოვსკი

ფეხბურთის რუკასთან

ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი ძალიან კმაყოფილი დარჩა წარმატებული დებიუტით და პრესას განუცხადა — ამ პოსტზე 2008 წლამდე დავრჩებიო. კატალონიური „ბარსელონას“ ყოფილი ვარსკვლავი გულშემატკივრებს ბულგარეთის მომავალ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გაყვანას ჰპირდება. მან ფედერაციასთან 2006 წლამდე გააფორმა კონტრაქტი, კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთმა გასულ უქმეებზე სტუმრად ისლანდიას 3:1 მოუგო.

იტალიური „ნაპოლის“ ბედი საბოლოოდ გაირკვა. ნეაპოლელები მომავალ სეზონს სერია C1-ში გაატარებენ. კლუბს აურაცხელი ვალი აქვს და გაკოტრდა. გუნდის მმართველი კი იცით, კინოინდუსტრიაში ცნობილი პიროვნება აურელიო დე ლაურენტისია.

პორტუგალიის ნაკრებს ესტონეთთან მატჩში დღეს ნუნუ ვალენტე ვერ დაეხმარება. „პორტუს“ მცველმა ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო. გარდა ამისა, ბოლომდე მზად არ არიან დეკო, მანიშე და სიმაო. ამ სამეულის ამბავი ალბათ ბოლო მომენტში გადაწყდება. ნახევარმცველი უგო ალმეიდა კი თავად ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დაიწუნა და იგი ახალგაზრდულ ნაკრებში დააბრუნა.

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდ ვლადიმირ ბესჩასტნიხს ძველი ტრავმა აწუხებს. ფეხბურთელს დაახლოებით ორი კვირა მოუწევს უქმობა. ანალოგიურ მდგომარეობაშია მოსკოველთა სამხრეთაფრიკელი ნახევარმცველი დელრონ შეპარდიც. უკვე ცნობილია, რომ ეს მოთამაშეები „დინამოსა“ და „მოსკოვის“ მატჩს ნამდვილად გამოტოვებენ.

იტალიური „კატანძარო“ სერია B-ში ასპარეზობას მინუს 5 ქულით დაიწყებს. გარდა ამისა, გუნდის სამი ფეხბურთელი ხუთთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, ხოლო მეოთხე, პასკალ ლო გიდიჩე, 3 წელი ვეღარ ითამაშებს ფეხბურთს. საქმე ისაა, რომ გასულ სეზონში სერია C1-ს მომგები „კატანძარო“, კერძოდ კი მისი ოთხი მოთამაშე მატჩების ჩაწყობასა და ტოტალიზატორთან კავშირში ამხილეს. ამასთანავე, დაისაჯა სხვა კლუბების კიდევ ოთხი ფეხბურთელი, გამოძიება კი ისევ გრძელდება. „კატანძარო“ ამ განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

ესპანური „რეალის“ პორტუგალიელი ლეგიონერი ლუიშ ფიგუ მადრიდელთა რიგებში მაიკლ ოუენის საჭიროებას ეჭვქვეშ აყენებს და გუნდის კაპიტან რაულს ამხნევებს: „არ ვარ დარწმუნებული, რომ ოუენის ყიდვა აუცილებელი იყო. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობამ იცის, რასაც აკეთებს. ვფიქრობ, ამ პოზიციაზე რაული შეუცვლელია. მისი როლი მხოლოდ გატანილი გოლების რაოდენობით არ უნდა შეფასდეს. ხშირად რაული შეუმჩნეველ, მაგრამ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს“ — განაცხადა ფიგუმ.

იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა ჯანფრანკო ძოლა კარიერას მომავალ ზაფხულს დაასრულებს. „ყველაფერი გავაკეთე, რომ „კალიარი“ ელიტაში დამებრუნებინა. ახლა ვეცდები, გუნდს სერია A-ში შევუნარჩუნო ადგილი. მინდა, რომ თანაგუნდელებთან ერთად მიზანი შევასრულო, რის შემდეგაც შემეძლება კმაყოფილების გრძნობით დავასრულო კარიერა. პროფესიონალმა უნდა იცოდეს, როდის წავიდეს. ჩემი დრო მომავალ ივნისს მოვა“ — თქვა ვეტერანმა ნახევარმცველმა.

დანიის ნაკრების მცველმა კასპერ ბოგელუნდმა უკრაინასთან მატჩში ტრავმა მიიღო და დაახლოებით 6 კვირა ვერ იბურთავებს. შესაბამისად, იგი დააკლდება თავის კლუბ „პსვ ეინდჰოვენსსაც“ და ჩემპიონთა ლიგის პირველ ორ მატჩს გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ ბოგელუნდი ალბათ ვერც ეროვნულ გუნდს დაეხმარება ალბანეთთან და თურქეთთან საოქტომბრო შეხვედრებში. 23 წლის ბოგელუნდს ეს ტრავმა ძალიან ხშირად აწუხებს და როგორც ჩანს, ქრონიკულადაც.

ფრანგი ფეხბურთის სპეციალისტი როლან კურბისი შესაძლოა „ალანიას“ მწვრთნელად დაბრუნდეს. ტერორისტული აქტებით შეშინებული და ვლადიკავკაზიდან გაქცეული კურბისი მოსკოვში „ალანიას“ პრეზიდენტ ტეიმურაზ ბოკოევს გადაეყარა. სავარაუდოდ, ბოკოევმა ფრანგ მწვრთნელს აზრი შეაცვლევინა და უსაფრთხოების გარანტიები მისცა. ისინი უახლოეს დღეებში ვლადიკავკაზში ერთად დაბრუნებას გეგმავენ.

საფრანგეთი

II დივიზიონი. VI ტური

ნანსი 1:0 ტრუა

ბრესტი	6	4	0	2	10:8	12
სედანი	6	4	0	2	9:7	12
რეიმსი	6	3	2	1	8:6	11
ლე ავრი	6	3	1	2	8:5	10
დიჟონი	6	3	1	2	7:5	10
ნანსი	6	3	1	2	6:5	10
ლე მანი	6	2	3	1	6:3	9
გენიონი	6	2	3	1	6:4	9
ამიენი	6	2	3	1	7:6	9
გრენობლი	6	2	3	1	10:11	9
ლორიანი	6	3	0	3	8:9	9
კლერმონი	6	2	2	2	9:6	8
ანჟე	6	2	2	2	6:6	8
ლავალი	6	2	2	2	6:9	8
მონპელიე	6	2	1	3	6:7	7
შატორუ	6	1	3	2	6:7	6
ნიორი	6	2	0	4	6:8	6
ტრუა	6	1	1	4	9:12	4
კრეტეი	6	1	1	4	5:9	4
გენგამი	6	1	1	4	6:11	4

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული
ტექნიკა
ტელ. 38-11-14,
39-48-29

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

სარგებელი & კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
15.45	025	ასტონ ვილა-ჩელსი	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
18.00	026	ბოლტონი-მანჩესტერი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
18.00	027	ფულემი-არსენალი	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
18.00	028	ლივერპული- ვესტ ბრომვიჩი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
18.00	029	სიტი-ევერტონი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
18.00	030	მიდლსბრო-ბირმინგემი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	031	ნიუკასლი-ბლეკბერნი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
20.15	032	პორტსმუთი-კრისტალ პალასი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
		12 სექტემბერი						
19.05	033	ტოტენჰემი-ნორვიჩი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
		13 სექტემბერი						
23.00	034	ჩარლტონი-საუთჰემპტონი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72

გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
17.30	035	მიონხენგლადბახი-ვერდერი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
17.30	036	ვოლფსბურგი-შალკე	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
17.30	037	შტუტგარტი-ჰამბურგი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
17.30	038	მაინცი-ლევერკუზენი	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
17.30	039	ბაიერნი-არმინია	1,2	5,6	11,0	1	1,08	3,71
17.30	040	ბოხუმი-დორტმუნდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
17.30	041	ნიურნბერგი-ჰერტა	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		12 სექტემბერი						
19.30	042	ჰანოვერი-ფრაიბურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.30	043	ჰანზა-კაიზერსლაუტერნი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
21.00	181	ბურგჰაუსენი-საარბრიუკენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
21.00	182	კოტბუსი-ობერჰაუზენი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
21.00	183	აინტრახტი-დინამო	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
		12 სექტემბერი						
17.00	184	უნტერჰახინგი-ალემანია	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
17.00	185	კარლსრუე-კიოლნი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
17.00	186	დუისბურგი-ესენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
17.00	187	ტრირი-ფიურტი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
17.00	188	აუე-ალენი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		13 სექტემბერი						
22.15	189	ერფურტი-მიუნხენი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
21.30	202	ზიგენი-კობლენცი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		11 სექტემბერი						
16.30	203	დარმშტადი-ვეენი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62

იტალია. სერია A. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
21.00	044	კიევო-ინტერი	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
22.30	045	მილანი-ლივორნო	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
		12 სექტემბერი						
17.00	046	ატალანტა-ლეჩე	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
17.00	047	ბრეშა-იუვენტუსი	4,2	3,2	1,8	1,81	1,26	1,15
17.00	048	კალიარი-ბოლონია	2,3	2,9	3,2	1,28	1,33	1,52
17.00	049	პალერმო-სიენა	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
17.00	050	პარმა-მესინა	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
17.00	051	რეჯინა-უდინეზე	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
17.00	052	რომა-ფიორენტინა	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
17.00	053	სამპდორია-ლაციო	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62

ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
20.00	054	ბილბაო-ვალენსია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
22.00	055	ბარსელონა-სევილია	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.00	056	რეალი-ნუმანსია	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
		12 სექტემბერი						
20.00	057	დეპორტივო-ოსასუნა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
21.30	058	ბეტისი-ესპანიოლი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
21.30	059	ხეტაფე-მალიორკა	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
21.30	060	ლევანტე-რასინგი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
21.30	061	მალაგა-სარაგოსა	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
21.30	062	ვილიარეალი-სოსიედადი	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.30	063	ალბასეტე-ატლეტიკო	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
19.15	253	ბასტია-ოსერი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
22.00	254	კაენი-ლანსი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
22.00	255	ისტრი-პსჟ	3,4	3,2	2,05	1,64	1,27	1,24
22.00	256	ლილი-ნიცა	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
22.00	257	მეცი-ბორდო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
22.00	258	მონაკო-სტრასბური	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.00	259	რენი-ლიონი	2,7	3,1	2,45	1,44	1,28	1,36
22.00	260	სტ.ეტიენი-ნანტი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
22.00	261	ტულუზი-აიაჩო	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		12 სექტემბერი						
23.00	262	სოშო-მარსელი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44

პორტუგალია. სუპერლიგა. II ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
00.30	277	ჟილ ვისენტე-ბოავიშტა	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
		11 სექტემბერი						
19.00	278	მარიტიმუ-პენაფიელი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	279	ლეირია-ეშტორილი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.15	280	ბრაგა-პორტუ	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
00.15	281	ბენფიკა-მორეირენსე	1,22	5,3	11,0	1	1,09	3,57
		12 სექტემბერი						
19.00	282	ნასიონალი-ბეირა მარი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.30	283	სეტუბალი-სპორტინგი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
		13 სექტემბერი						
23.30	284	რიუ ავე-ბელენენსეში	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73

ჰოლანდია. I დივიზიონი. IV ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
22.00	298	ალკმაარი-დენ ბოსხი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
		11 სექტემბერი						
20.00	299	დენ ჰაგი-აიაქსი	6,5	4,0	1,45	2,47	1,18	1,06
21.30	300	ჰერენვენი-ვრააფსხაპი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
21.30	301	პსვ-ვალვაიკი	1,22	5,3	11,0	1	1,09	3,57
21.30	302	როზენდალი-ვიტესი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		12 სექტემბერი						
16.30	303	ფეიენოორდი-ტვენტე	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
16.30	304	ვრონინგენი-ბრედა	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
16.30	305	უტრეხტი-ნაიმეგენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
16.30	306	ტილბურგი-როდა	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54

ბელგია. I დივიზიონი. V ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		11 სექტემბერი						
22.00	320	ოსტენდე-ანდერლეხტი	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
22.00	321	ბრიუსელი-ვესტერლო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
22.00	322	შარლერუა-ბრიუგე	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	323	ვენტი-სტ.ტრუიდენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
22.00	324	ლიერსი-მონსი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		12 სექტემბერი						
17.00	325	სერკლი-ბეერსხოტი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
17.00	326	მუსკრონი-ბეევერენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
17.00	327	ლოკერენი-ლუვეე	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
22.00	328	ზენკი-სტანდარდი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ავსტრია. ბუნდესლიგა. VII ტური						
		11 სექტემბერი						
20.00	342	ბრეგენცი-მატერსბურგი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
20.00	343	რაპიდი-ადმირა	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
20.00	344	ზალცბურგი-შტურმი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
20.00	345	ტიროლი-პაშინგი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		12 სექტემბერი						
17.30	346	გრაცერი-აუსტრია	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		შვეიცარია. სუპერლიგა. VIII ტური						
		11 სექტემბერი						
21.30	354	აარაუ-სტ.გალენი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.30	355	სერვეტი-შაფჰაუზენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
21.30	356	თუნი-ქსამაქსი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
21.30	357	ციურიხი-იანგ ბოიზი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		12 სექტემბერი						
18.15	358	ბაზელი-გრასჰოპერი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		ნორვეგია. ტიპელიგა. XX ტური						
		11 სექტემბერი						
21.00	402	რუსენბორგი-ვოლერენგა	1,5	3,5	6,5	1,04	1,21	2,27
		12 სექტემბერი						
20.00	403	ვიკინგი-სოგნდალი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
20.00	404	ფრედრიკსტადი-ჰამარი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
20.00	405	ლინი-ბოდიო გლიმტი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
20.00	406	მოლდე-ტრომსიო	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
22.15	407	ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
		13 სექტემბერი						
21.00	408	ბრანი-სტაბეკი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური						
		12 სექტემბერი						
18.00	410	ალესუნდი-რაუფოსი	1,35	4,6	6,0	1,04	1,1	2,6
18.00	411	ჰაუგესუნდი-ტრომსდალენი	1,35	4,4	6,5	1,03	1,11	2,62
18.00	412	ჰიონეფოსი-სანდეფიორდი	2,5	3,8	2,15	1,5	1,15	1,37
18.00	413	კონგსვინგერი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,35	4,6	6,0	1,04	1,1	2,6
18.00	414	მოსი-პორს გრენლანდი	1,65	4,0	3,8	1,16	1,15	1,94
18.00	415	სკეიდი-ჰიოდი	2,0	3,8	2,8	1,31	1,16	1,61
18.00	416	სტარტი-ბრინი	1,45	4,0	5,6	1,06	1,15	2,33
18.00	417	სტრიომსგოდსეტი-მანდალი	2,0	3,8	2,8	1,31	1,16	1,61

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXIII ტური						
		9 სექტემბერი						
19.00	419	ვაზი-როვანიემი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
19.30	420	ჰაამეენლინა-ალიანსი	4,2	3,4	[illegible]	1,87	1,21	[illegible]
19.30	421	იარო-ტურკუ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
19.30	422	მიუპა-ინტერი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		10 სექტემბერი						
20.00	423	ჰაკა-ჰიკ	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		თურქეთი. სუპერლიგა. V ტური						
		11 სექტემბერი						
17.00	439	სებათი-ფენერბაჰჩე	6,5	4,0	1,4	2,47	1,15	1,03
20.00	440	დენიზლი-ტრაბზონი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35
20.00	441	გენსლერბირლიგი-დიარბაქირი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
20.00	442	გაზიანთეფი-ანკარა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
		12 სექტემბერი						
17.00	443	ისთანბული-რიზე	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.30	444	საკარია-ბეშიქთაში	4,6	3,6	1,6	2,01	1,18	1,1
20.00	445	მალათია-ანკარაგიუჯიუ	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
20.00	446	კაისერი-კონია	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
21.00	447	გალათასარაი-სამსუნი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
		მჩ შესარჩევი მატჩები						
		8 სექტემბერი						
18.00	001	ყაზახეთი-უკრაინა	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
20.00	002	საქართველო-ალბანეთი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
20.00	003	სომხეთი-ფინეთი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
20.00	004	ლიტვა-სან მარინო	1,05	8,0	20,0	1	1	5,71
20.00	005	ფარერები-საფრანგეთი	25,0	9,0	1,03	6,61	1	1
20.30	006	ისრაელი-კვიპროსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2.75
21.00	007	ანდორა-რუმინეთი	30,0	9,0	1,03	6,92	1	1
22.00	008	ლუქსემბურგი-ლატვია	15,0	6,5	1,1	4,53	1,02	1
22.00	009	ნორვეგია-ბელარუსი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.15	010	სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი	1,02	9,0	35,0	1	1	7,15
22.15	011	შვედეთი-ხორვატია	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.15	012	ბოსნია-ესპანეთი	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
22.15	013	უნგრეთი-ისლანდია	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
22.30	014	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
22.30	015	შვეიცარია-ირლანდია	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
22.30	016	პოლონეთი-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
22.30	017	ავსტრია-აზერბაიჯანი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
22.45	018	მოლდოვა-იტალია	11,0	5,3	1,2	3,57	1,08	1
22.45	019	საბერძნეთი-თურქეთი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.00	020	შოტლანდია-სლოვენია	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.00	021	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
00.15	022	პორტუგალია-ესტონეთი	1,06	7,0	17,0	1	1	4,95
		ამხანაგური მატჩები						
		8 სექტემბერი						
22.45	610	გერმანია-ბრაზილია	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5011	შვედეთი-ხორვატია	2,2	2,1	4,8	1,07	1,5	1,46
5014	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	2,05	4,4	1,09	1,53	1,39
5015	შვეიცარია-ირლანდია	2,7	2,05	3,5	1,16	1,52	1,29
5016	პოლონეთი-ინგლისი	4,6	2,1	2,25	1,44	1,51	1,08
5019	საბერძნეთი-თურქეთი	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37
5020	შოტლანდია-სლოვენია	2,8	2,05	3,4	1,18	1,53	1,27
5021	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,6	2,8	6,5	1,01	1,28	1,95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5411	შვედეთი-ხორვატია	1,6	2,4
5414	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	2,2
5415	შვეიცარია-ირლანდია	1,8	2,0
5416	პოლონეთი-ინგლისი	2,3	1,65
5419	საბერძნეთი-თურქეთი	1,7	2,2
5420	შოტლანდია-სლოვენია	1,9	1,9
5421	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,3	4,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5111	შვედეთი-ხორვატია	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
5114	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,7	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5115	შვეიცარია-ირლანდია	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,8
5116	პოლონეთი-ინგლისი	7,0	10,0	20,0	8,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,5
5119	საბერძნეთი-თურქეთი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5120	შოტლანდია-სლოვენია	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5121	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,8	12,0	30,0	3,5	5,0	12,0	20,0	12,0	12,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5511	შვედეთი-ხორვატია	3,0	2,8	2,0
5514	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,0	2,8	2,0
5515	შვეიცარია-ირლანდია	3,0	2,8	2,0
5516	პოლონეთი-ინგლისი	3,0	2,8	2,0
5519	საბერძნეთი-თურქეთი	3,0	2,8	2,0
5520	შოტლანდია-სლოვენია	3,0	2,8	2,0
5521	უელსი-ჩრდ.ირლანდია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5311	შვედეთი-ხორვატია	1,7	1,9
5314	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	1,9
5315	შვეიცარია-ირლანდია	1,7	1,9
5316	პოლონეთი-ინგლისი	1,7	1,9
5319	საბერძნეთი-თურქეთი	1,7	1,9
5320	შოტლანდია-სლოვენია	1,7	1,9
5321	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,85	1,75

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5211	შვედეთი-ხორვატია	1,7	1,9
5214	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	1,9
5215	შვეიცარია-ირლანდია	1,7	1,9
5216	პოლონეთი-ინგლისი	1,75	1,85
5219	საბერძნეთი-თურქეთი	1,65	1,95
5220	შოტლანდია-სლოვენია	1,7	1,9
5221	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,85	1,75

ბესიკ ლიპარტელიანი: ჯერ მოვიგოთ გართობა მერე იყოს

ფინეთთან მატჩამდე 5 დღით ადრე საქართველოს ნაკრები დახურულ ვარჯიშზე გადავიდა და ბინა სასტუმრო „სიმპთიაში“ დაიდო. კალთბურთელებს აკრძალული აქვთ „გარესამყაროსთან“ კავშირი და ნაკრებში ისეთი არაფერი ხდება, რაც უსტაბაშ დრაჟენ ბრაიკოვიჩთან არაა შეთანხმებული. ფინეთამდე ჯერ კიდევ დარჩა დრო და მანამდე რა გეგმები აქვს ნაკრებს, დღევანდელ პრესკონფერენციაზე, კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაცხადდება, სადაც შემონდ უილიამსი ქართველად „მოინათლება“ — საქართველოს ბორჯღალიან პასპორტს მიიღებს. სანამ პრესკონფერენცია გაიმართებოდეს, ნაკრების ამბავ-ხაბარი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანისგან მოვისმინოთ...

ბესიკ ლიპარტელიანი და დრაჟენ ბრაიკოვიჩი

გუშინ დილეგვიანების ფოტო

— ბატონო ბესო, როდის ჩამოდის ფინეთის ნაკრები და რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქეზე?

— ფინელები ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან 10 სექტემბრის საღამოს და, როგორც გვაუწყეს, მეორე დღესვე, თამაშის დასრულებისთანავე გამგზავრებიან უკან. ფინეთის ნაკრები ალბათ ყველაზე უკეთ მომზადებული გუნდია ჩვენს ჯგუფში. როგორც იცით, ისინი ორი თვეა, შეკრებილები არიან და ამ ხნის განმავლობაში ბლომად ტესტმატჩებიც გამართეს. თუმც ეს ალბათ იმის გამოა, რომ მათ არ ჰყავთ იმდენი ლეგიონერი, რამდენიც ჩვენ. თანაც საქართველოს ნაკრებს ნბა-დანაც მოუხდა 3 მოთამაშის ჩამოყვანა...

— მეოთხე ნბა-ელ ვლადიმერ სტეფანიასგან რა ისმის?

— ამას წინათ თქვენსავე გაზეთში ეწერა, ნატრავმალ ფეხს არ უზღვევენ და იმიტომ ვერ ჩამოდისო. ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება ჯერ არ შეგვიძლია, თუმც ამ საქმეში იურისტები გვყავს ჩართული და უახლოეს მომავალში სრული სიმართლე გვეცოდინება, მართლა არ უზღვევენ ფეხს, კლუბი არ უშვებს, თუ — არ მინდა, ვიფიქრო და — თავად არ სურს ჩამოსვლა. 20 სექტემბრისთვის ყველა დეტალი დადგენილი გვექნება და დამნაშავეს, ვის გამოც ვერ მოხერხდა სტეფანიას ნაკრებში ჩამოსვლა, პასუხი მოეთხოვება.

— ფინელებს მივუბრუნდეთ. რას ელით მათთან მატჩისგან?

— მხოლოდ გამარჯვებას, ისევე როგორც მომავალ ორ მატჩში.

— გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. მომავალ წელს ფინეთში მოგვიწევს თამაში...

— ისე უნდა მოვიგოთ, რომ არავინ დავაეჭვოთ ჩვენს სიძლიერეში. ამის მისაღწევად, ვფიქრობ, მინიმუმ 15-ქულიანი გამარჯვება იკმარებს, რაც უფრო მეტი იქნება, მით უკეთესი. როგორც ვიცით, ფინელები ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვლენ. იყო ლაპარაკი, ერთ-ერთი ლიდერი არ მოდისო, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ფინელები სრულად გვეწვევიან. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი ანგარიშით მოგებას ვფიქრობთ.

— დღეიდან ნაკრები დახურულ ვარჯიშებზე გადავიდა და როგორი იქნება მისი განრიგი?

— ყველაფერს ხვალინდელ პრესკონფერენციაზე შეიტყობთ, სადაც შემონდ უილიამსს ქართულ პასპორტს გადავცემთ. უილიამსი პასპორტი ახლა აქ მაქვს, მაგრამ გვსურს, მფლობელს საზეიმო ვითარებაში ჩავაბაროთ.

— გავიგეთ, ალბანეთთან ქართველების საფეხბურთო მატჩს საკალათბურთო ნაკრები დაესწრებაო...

— დიახ, ალბანეთთან მატჩს სრული შემადგენლობით დავესწრებით. ასევე ვგეგმავთ ოლიმპიურ ჩემპიონთან, სავარაუდოდ, ზურაბ ზვიადაურთან შეხვედრას. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრების ბრძოლისუნარიანობას აამაღლებს.

— ვლადიმერ ბოისასგან შევიტყვეთ, მაკედონიის ნაკრები 15 სექტემბერს ლიდერების გარეშე დახვდება ქართველებსო...

— ეს ინფორმაცია რამდენად რეალურია, ვერ გეტყვით, მაგრამ მაკედონიის ფედერაციას რომ დიდი პრობლემები აქვს, ცნობილი ამბავია. ესაა ერთადერთი ფედერაცია ევროპაში, რომელსაც ფიბა-ს წევრთა უმრავლესობასთან გართულებული ურთიერთობა აქვს. უფრო სწორად, საერთოდ არა აქვს ურთიერთობა. წინდახედულობა უნდა გამოვიჩინოთ და ამ ინფორმაციის იმედზე არ უნდა ვიყოთ.



შემონდ უილიამსი დღეს ქართველი გახდება

ალბომ ეფანოვიჯანიანის ფოტო

— ბოლოს, ფინეთთან მატჩზე სავსე ტრიბუნებს ელით?

— ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სპორტის სასახლე გაივსოს. ჩვენ არ გვინდა დასასწრები ბილეთების გაყიდვით ფულის შოვნა, ამიტომაც მათი ფასი 3-დან 5 ლარამდე იქნება. ჩვენ ვბეჭდავთ ასევე ლარიან ბილეთებს, რომელიც უსასყიდლოდ დაურიგდება თბილისისა და რაიონის სკოლებს. მატჩის მსვლელობისას არანაირი გასართობი ღონისძიება არ გაიმართება, რადგან გვსურს, სრულიად საბრძოლო, საკალათბურთო ატმოსფერო სუფევდეს დარბაზში. გართობა და ზეიმი მერე იყოს, ამ სამ მატჩს რომ მოვიგებთ. თუ ნაკრებმა ეს მოახერხა, უდიდესი სტიმული მიეცემა ხალხს და კალათბურთსაც გულშემატკივარი დაუბრუნდება.

ირაკლი პერტაია

ნიკა იზორიას ტომარა ჯედისწერად გადაუქცევს

დიდ სიხარულთან ერთად ათენის ოლიმპიადამ იმედების გაცრუებაც არ „დაგვამადლა“. ახალგაზრდა ქართველი მოკრივე ნიკოლოზ იზორია ალბათ კარგა ხანს ვერ დაივიწყებს ათენურ განცდებს. ყველამ ვნახეთ, როგორ მოუგო მას აზერბაიჯანელმა ფუად ასლანოვმა. რინგიდან გამოსულმა იზორიამ ჩაილაპარაკა, ეს რა მოგება წამართვესო, ცრემლიც ვერ შეიკავა და მსაჯებსაც მიანიშნა მათი „მართალკაცობა“.

ნიკას ბოლოს თბილისის აეროპორტში, ჩვენი ოლიმპიელების ჩამოსვლისას შევხვდით, მაგრამ მისი დაღვრემილი სახე საუბრის სურვილს ნაღდად არ გამოხატავდა. გუშინ კი გულგახსნილი გვეჩვენა და ათენური ამბებიც გაიხსენა:



ალბომ ეფანოვიჯანიანის ფოტო

— ყველაფერი გავაკეთე, რომ საქართველო გამეხარებინა, მაგრამ ვინ მაცალა. ალბათ უნდოდათ, მანამდე ტუნისელთანაც რომ წამეგო, მაგრამ თავიდანვე მიხვდნენ, რომ არანაირი მიდგომა არ გასჭრიდა და რაც იქ ვერ მოახერხეს, ასლანოვთან ხუთიანზე შეასრულეს. იცით, კრივის საერთაშორისო ფედერაციაში სამსაჯო კომიტეტს აზერბაიჯანელი განაგებს და მე რატომ მომაგებინებდნენ. რინგზე უზბეკი მსაჯი რომ დავინახე, მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა...

— ასლანოვს აღრეც შეხვდებოდი, უხერხული მეტოქეა შენთვის?

— უხერხული კი არა, აღრე ტომარასავით ვურტყამდი. მაგას ჩემთან მოგების შანსი არასოდეს ჰქონია. ძალიან გულგატეხილი ვარ, ფაქტიურად, მკერდზე დაკიდებული მედალი წამართვეს. როგორც იცით, ასლანოვმა ათენში ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ მასზე არა ვარ გაბრაზებული — ეხმარებოდნენ და რატომ არ შეირგებდა...

— იქნებ შენი ბრალიც იყო, უზბეკი მსაჯი რომ დაინახე, წინასწარ ხომ არ შეეგუე წაგებას?

— ასლანოვი სათანადოდ ვერ შევაფასე. როგორც გითხარით, აქამდე მას იოლად ვუგებდი და ახლაც ეგივეს იმედი მქონდა. პირველ რაუნდში წინააღმდეგობა რომ ვიგრძენი, გამოვცოცხლდი და სრული ძალებით ვიბრძოლე, მაგრამ...

— სხვა ბრძოლებსაც უყურებდი და მსაჯების მიკერძოება ხშირი იყო?

— რაც ვნახე, ჩემსავით არავინ დაუჩაგრავთ. ზუსტად ეგივე თქვეს „ევროსპორტზე“ რუსმა კომენტატორებმა, ოლიმპიადაზე ამისთანა სიბინძურეს ვერ წარმოვიდგენდითო.

— ვერაფერი წამალია, მაგრამ მსაჯებს ბოდიში ხომ არ მოუხდიათ?

— არა. უბრალოდ, თვალებში ვერ გვიყურებდნენ. შესაძლოა, ოლიმპიურმა კომიტეტმა განიხილოს ეს შეხვედრა და მსაჯებს დისკვალიფიკაცია მისცენ, მაგრამ ამით არაფერი მომემატება.

— ბრძოლის დასრულებისას თითოეული მსაჯისკენ თითს იშვერდი და რაღაცას ეუბნებოდი. რას ნიშნავდა ეს ჟესტი?

— მივანიშნე, როგორ „ობიექტურად“ იმსაჯეს. თქვენ რაც უნდა გადაწყვიტოთ, გამარჯვებულად ვთვლი თავს-მეთქი. ტირილიც მათი უსამართლობისგან მომეძალა და ცოტა დამაკლდა, ინგლისურადაც დავიწყებდი გინებას. თუმც, ქართულადაც ისე გულამომჯდარმა შევიგინე, ყველაფერს მიხვდებოდნენ. დროზე მოვთოკე ნერვები, დისკვალიფიკაციას მოვერიდე და საქართველოს პატივი ვეცი. ეს რომ ჩემი ბოლო ოლიმპიადა ყოფილიყო, თავს ნაღდად ვერ შევიკავებდი...

— ამ მარცხმა ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგტეხა?

— არა, ათენიდან ჩამოსვლის შემდეგ ყველაფერი გავაანალიზე, ჯერ ახალგაზრდა ვარ და კიდევ ორ ოლიმპიადაზე ვაპირებ გამოსვლას. დღეს დავიწყე სრული დატვირთვით ვარჯიში. თებერვალში მსოფლიოს ჩემპიონატია და იქ კი ნაღდად არ დავრჩები უმედლოდ.

ილია ნანოგაშვილი

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

რუსეხი მოდიან
პეტროვამ ენენი გააგდო

REUTERS ნიუ იორკიდან

ჟუსტინ ენენ-არდენის პირველობასა და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონობას იმ დღეს ერთდროულად და ძალიან მოულოდნელად დაესვა ჩოგანი.

ჭინკა ბელგიელს, ვინაც 12-კვირიანი ვირუსუქმობის შემდეგ ათეულურ მაგარსაფარზე ოლიმპიური ოქროს მორეწვა შეძლო და ფლეშინგმედოუზობაზეც უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, ერთობ უცერემონიოდ გაუსწორდა მეთოთხმეტე ნომრად განთესილი კენარი რუსგოო ნადია პეტროვა, რომელსაც — ბარემ ბოლომდე მივართულქვეწყობილოთ და — აქამდე ერთი ქეციანი ტიტულიც არ მოუგია.

ასე ნაადრევად აშშ-ის ღია პირველობის ტიტულდამცველი ბანოვანი 1995 წლის მერე აღარ გავარდნილიყო — მაშინ არანჩა სანჩეს ვიკარიოც მეოთე წრიდან დაიფრინეს, და რაც არანაკლებ ყურადსაღებია, ასე ცუდად იქ ამქრის პირველოსანს შორეული 1973 წლის შემდეგ აღარ ეთამაშა — იმ წელს ქალთა მაშინდელი უსტაბაში ბილი ჯინ კინგი სულაც მესამე წრეში იძლია.

ნამატჩევს ჟუსტინი იძახდა, რომ უმთავრესი ფაქტორი, რამას მისი მარცხი განაპირობა, მისი ვაგლახი ფიზიკური მდგომარეობა იყო.

„ტურნირზე სავსებით ჯანმრთელად თავი ერთხელაც არ მიგრძვნია — ამბობდა ის — ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, ოღონდ უწინარესად იმით, რომ ასე ბითურად წავაგე და არა იმით, რომ პირველი ადგილი დავთმე. ამას თითქოს შეგუებულიც ვიყავი, რაკიღა ამდენი თვის უთამაშებლობას არ შეიძლებოდა, ჩემთვის სარეიტინგო პრობლემები არ შეექმნა.“

პეტროვა კი მატჩის შემდეგ — რასაკვირველია — კარიერის საუკეთესო გამარჯვებაზე საუბრობდა. ეს შეხვედრა მან მართლაც რიგიანად ჩაითამაშა, მეტოქეს თავიდანვე შეუტია და იქიდან გამომდინარე, რომ ჟუსტინს მისთვის არანაირი კონტრარგუმენტი არ შეუთავაზებია, გაზის ჰედლიდან ჩოგანი ბოლომდე არ აუშვია.

არ აუშვია და ახლა კარიერის მეორე სლემნახევარფინალში მოსახვედრად თვისტომ სვეტლანა კუზნეცოვას შეერკინება, რომელმაც თავის მხრივ 29 წლის მარი პირსს წაუმურდლა კარიერის დასალიერს ახუნტრუცებული სლემოცნებები. ცნობისთვის: დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის ბოლო ოთხეულს პეტროვამ პირველად შარშან, როლანგაროსობაზე უწია.

„რუსები მოდიან. დღეს ეს უკვე საკუთარ ტყავზე გამოვცადე“ — ამბობდა მასთან მარცხის შემდეგ ჟუსტინ ენენ-არდენი და, ვაი, ვაი, რომ არც გაემტყუნებოდა!

სხვაფრივ:

ჭინკა ბელგიელს იმ დღეს რომ გამართლებოდა და გაევაკა, ამ ისერა მიმოხილვის პირველ აბზაცებს უთუოდ ტურნირის ჩემპიონყოფილთა — ლინდსი დევენპორტისა და ვინუს უილიამსის შეხლას დავუთმობდით. თუ რატომ — იმედია, ეს განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს. მხოლოდ იმას გაუწყებთ, რომ ეს მათი 23-ე დაპირისპირება იყო და 1998 წლის ჩემპიონმა ლინდსიმ, ვინაც წლის ბოლოსკენ ჩოგნის სამზარეულოში ჩამოკიდებას აპირებს, უფროს უილიამსდას უკვე 13:12 გადაუსწრო.

სხვათა შორის, ეს ლინდსის ზედიზედ 21-ე მოგებაც გახლდათ. ასეთ შთამბეჭდავ სერიას კი მან საფუძველი ივლისში სამი კალიფორნიული ტურნირის მოგებით დაუდო. ხოლო იმ წელს, როცა ლინდსიმ კალიფორნიული ჰეთთრიქი პირველად მიითვალა — და ეს ამბავი 1998-ში მოხდა — მან მერე აშშ-ის ღია პირველობაზეც იმარჯვა.

დღეს ისე მაგრად მინდოდა მოგება, ბოლო გეიმამდე ჩოგანი არ ამკანკალებიაო, იძახდა მერე დევენპორტი. და, მართალია, ბოლო გეიმში მართლაც აღელდა, მაგრამ ვინუსს უკვე აღარაფრის გადარჩენის თავი არ ჰქონდა.

უფროსმა უილიამსდამ, რომელსაც ამერიკული სეფეკორტები საჩემპიონოდ ორჯერ — 2000-01 წლებში გაუჯეგავს, ეს პირველად ვერ შეძლო, ჩოგანი სულ მცირე ნახევარფინალში მაინც რომ გაეყვანია.

რაც შეეხება ხვატრიონს, ხამეისე აეწყო, ერთ-ერთ მეოთხედფინალში ამქრის პირველოსან როჯერ ფედერერისა და ტურნირის ორგზის ჩემპიონ ანდრე აგასის განდაგანას ვიხილავთ.

34 წლის არმენოამერიკელმა, ვისაც ნიუიორკულ მაგარსაფარზე 1994 და 1999 წლებში უპირველია, თავის ისტორიულ თვისტომსა და ხამუშ-ხამუშ მესპარინგე სარგის სარგსიანს ჩაუკამაცკამაცა. წლევანდელი უიმბლდონისა და ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა ფედერერმა კი დღე სულაც უქმად დაჰყო, რადგანაც მის მეტოქე რუმინელ პაველს წელის ერთ-ერთი მალა ამოუვარდა.

ანდრესაც და როჯერსაც იმ დღეს ერთთავად მათ მომავალ შეხლაზე ეკითხებოდნენ და მათაც სტანდარტული ფერადები არ დაუშურებიათ ამ შეხლის გამორჩეულობისა და დიდმნიშვნელობის გამოსახატად. მაგრამ ამ ყველაფერზე მეტად ახლა მათი საამომენტო ფორმა და შემართება ფასობს, თუმცა ვინ უკეთეს ფორმაშია და ვინ უფრო მძლავრ მოტივაციას მოიძევს, ამაზე მარჩიელობას ვინძლო ტელევიზორთან ჩასხდომა და ჭვრეტა გვიჯობდეს.

ისე კი — ეს მათი მეშვიდე მატჩი იქნება. წინა ექვსიდან პირველ სამში ბებერს უმარჯვია, ხოლო მომდევნო სამში — ჭაბუკს. ბოლოჯერ ფედერერმა აგასი წლეულ, ინდიანუელსობის ნახევარფინალში მოდრიკა.

სულ ბოლოს კი დახვეწილი ბრიტანელის, ტიმ ჰენმანის სადღეგრძელო უნდა შეისვას. ეს კაცი იმ დღეს 30 წლისა შესრულდა და საამამბოდ საკუთარ თავს მორიგი დამსახურებული გამარჯვება უძღვნა. ნიკოლას კიფერთან ის სეტსა და 1:3 აგებდა, როცა ჩარხის თავისთვის წაღმად შეტრიალება შეძლო და ზედიზედ ათი გეიმის მოგებით სეტებში 2:1 დაწინაურდა. და თუმცა მეოთხე ხელი დათმო, მეხუთეში კიფერს ბუქნაობის გაგრძელება დაზიანებულმა მარჯვენა მაჯამ არ დაანება.

ლევან კელაურაძე

6 სექტემბერი

კაცები

მეოთხე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ანდრეი პაველი** (16, რუმინეთი) **პაველს არ უთამაშია; ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — **ნიკოლას კიფერი** (19, გერმანია) **6:7 (5:7), 6:3, 6:1, 6:7 (4:7), 3:0 კიფერმა შეწყვიტა; ანდრე აგასი** (6, აშშ) — **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) **6:3, 6:2, 6:2; დომინიკ ჰრბატი** (22, სლოვაკეთი) — **ოლივიე როხუსი** (ბელგია) **2:6, 3:6, 6:3, 6:4, 6:0**

ქალები

მეოთხე წრე

ნადია პეტროვა (14, რუსეთი) — **ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) **6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) **7:5, 6:4; სვეტლანა კუზნეცოვა** (9, რუსეთი) — **მარი პირსი** (27, საფრანგეთი) **7:6 (7:5), 6:2; შინობუ ასაგოე** (იაპონია) — **ელენი დანილიდუ** (29, საბერძნეთი) **7:6 (7:4), 4:6, 6:3**

ᲰᲝᲙᲔᲘ

მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

სუომელებს ომი მოსწყინდათ



REUTERS ჰელსინკიდან

გერმანელები არაერთხელ დაემუქრნენ ფინელთა კარს

ამერიკული ჯგუფი

5 სექტემბერი

სლოვაკეთი 2:5 რუსეთი

1:1 0:2 1:2

0:1 დაციუკი (9), 1:1 ბოსა (11), 1:2 კოვალიოვი (33), 1:3 სამსონოვი (36), 1:4 იაშინი (41), 2:4 გაბორიკი (46), 2:5 ოვეჩკინი (48)

კანადა	3	0	0	10:3	6
რუსეთი	2	0	1	9:6	4
აშშ	1	0	2	5:6	2
სლოვაკეთი	0	0	3	4:13	0

მეოთხედფინალი

6 სექტემბერი

ფინეთი 2:1 გერმანია

0:0 1:0 1:1

1:0 ჰაგმანი (31), 1:1 შტურმი (54), 2:1 ელორანტა (57)

ფინელები ტურნირს ტურნირად არ თვლიან, შვედებს თუ არ ეთამაშებიან. ამჯერად ამ ორ სკანდინავიურ გუნდს პირველ ეტაპზევე მოუწია დაპირისპირება. მათი ჯახი ჯიგრიანი და უკომპრომისო გამოდგა, ფრედ 4:4 დამთავრდა და ფინეთი ევროპულ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

ამბიციების დაკმაყოფილების შემდეგ „სუომელები“ ორშაბათს მეოთხედფინალში ერთობ გულდამშვიდებულნი ჩანდნენ. ფინეთი ამ დღეს ნაღდად არ ჰგავდა გუნდს, რომელმაც პირველ ეტაპზე ევროპულ ჯგუფში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სულ რაღაც ოთხიოდე დღის წინ იგი აუღელვებლად და უპრობლემოდ გაუმკლავდა გერმანიას მისსავე მოედანზე, ამჯერად კი საკუთარ ყინულზე ქომაგები ანერვიულა.

მასპინძლები პირველი წუთებიდანვე ზედმეტად ფხიზლად ათამაშდნენ, თითქოს განსაკუთრებით ძლიერ მეტოქეს ხვდებოდნენ. უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ინერტიულები იყვნენ და ოლაფ კოლიგის კართან მომენტები არ იქმნებოდა. ფინელთა უგულო თამაშის შემყურე სტუმრები მეორე პერიოდის დასაწყისში ისე გათამამდნენ, რომ ლამის გოლი გაიტანეს. თუმც ერთი-ორი შანსის გაცუდება ძვირად დაუჯდათ და მასპინძელმა ნიკლას ჰაგმანმა რიცხვმრავლობაში იმარჯვა. „სუომელებმა“ ანგარიში რომ გახსნეს, ფრთები კი არ გამოისხეს, პირიქით, უპირატესობის შენარჩუნებაზე ფიქრში ლამის ექვსივენი კარში ჩადგნენ და ზღეს კიდეც — მცველთა შეცდომით გერმანელთა ლიდერმა მარკო შტურმმა ისარგებლა და ყველასთვის მოულოდნელად ფინელებს ოვერტაიმის აჩრდილი წამოადგათ. თუმც მასპინძლები მიკო ელორანტამ იხსნა, როცა 57-ე წუთზე მარჯვედ შეუცვალა შაიბას მიმართულება და ოლაფ კოლიგი დაამწუხრა. დარჩენილ სამ წუთში გერმანელებმა ვეღარაფერი გაახერხეს, თუმც ქება კი დიმსახურეს. ფინეთს კი ასეთი თამაშით ნახევარფინალში არაფერი ესაქმება.

7 სექტემბერი

აშშ — რუსეთი

შვედეთი — ჩეხეთი

8 სექტემბერი

კანადა — სლოვაკეთი

ბორჯომის თასი. თბილისი. საპრიზო 10 000 $



მაკა ჩახნაშვილმა ანა მოვსისიანთან მატჩი შემოაბრუნა

ქართული სამაია

მოვსისიანმა ბურთი დაიჭირა, ჩახნაშვილი ვერა



ია ჯიქია



სოფო მელიქიშვილი

მარცხენა ფოტოებზე ფოტოები

პირველი წრე

მაკა ჩახნაშვილი (5, საქართველო) — ანა მოვსისიანი (სომხეთი) 2:6, 6:0, 6:2; ია ჯიქია (საქართველო) — მარია არხიპოვა (6, რუსეთი) 6:3, 6:3; სოფო მელიქიშვილი (3, საქართველო) — მარია რახმანინა (რუსეთი) 6:0, 6:2; ეკატერინა კოშეხინა (4, რუსეთი) — ნათია გეგია (საქართველო) 6:0, 7:6 (7:5); ვასილისა დავიდოვა (რუსეთი) — სოფო ქვაცაბაია (საქართველო) 6:2, 2:6, 6:4; სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი) — ნანა ურუტაძე (საქართველო) 6:1, 6:3; ირინა კუზმინა (ლატვია) — ოლგა ხრაპკოვა (რუსეთი) 6:3, 6:4; ირინა ბურიაჩოკი (უკრაინა) — კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი) 6:3, 4:6, 6:4

თბილისის საერთაშორისო ტურნირმა „ბორჯომის თასმა", რომელშიც ქართველები, რუსები და თითო-ოროლა სხვა ქვეყნის შვილები თამაშობდნენ, გუშინ პირველი წრის ნახევარი მოილია. კორტზე ექვსი ჩვენებური გავიდა და მათზე მოგება-წაგება თანაბრად განაწილდა.

ცენტრალურ კორტზე ქართველებიდან პირველი მაკა ჩახნაშვილი თამაშობდა. ორი წლის წინ მსოფლიო რეიტინგსიის სამასეულში დამკვიდრებული ჩოგბურთელი ხშირმა ტრავმებმა ნელ-ნელა დაბლა დასწია და ახლა 527-ეა, თუმც ქართველთა შორის მაინც წინა რიგებშია და, ცხადია, „ბორჯომის თასზეც" ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იმედი იქნება.

მაკას გუშინდელი მეტოქე ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან შესული სომეხი, რეიტინგში ძნელად მოსაძებნი ანა მოვსისიანი იყო. ამიტომ ქართველისგან იოლ გამარჯვებას ველოდით, მაგრამ შეხვედრა ისე დაიწყო, მოვსესიანის ტრიბუნაზე მჯდომი ერთადერთი ქომაგიც ვერ წარმოიდგენდა. სომეხმა მოწინააღმდეგეს პირველივე მოწოდება აართვა და უპირატესობის ზრდაც განაგრძო. ჩახნაშვილი კი მოულოდნელმა დებიუტმა აშკარად აანერვიულა და მაკამაც შეცდომებს უხშირა. ერთიცაა, რამდენიც გარისკა, ერთხელაც არ გაუმართლა, ხოლო მოვსისიანის ამოცანა ბურთის „დაჭერა" იყო, რამაც პირველი სეტი 6:2 მოაგებინა.

მაკამ მოახერხა შეხვედრის შემოტრიალება, ნელ-ნელა ძველებურად ათამაშდა და მეტოქეს მეორე სეტი ისე მოუგო, გეიმიც აღარ დაუთმო. გადამწყეტ, მესამე სეტში მოვსისიანმა ერთხელ გაიბრძოლა. 0:2-დან 2:2 გაათანაბრა. ეს იყო და ეს. ჩახნაშვილმა დანარჩენი გეიმები პირწმინდად მოიგო.

ქართული გამარჯვებები ცენტრალურ კორტზე 15 წლის ია ჯიქიამ გააგრძელა. მშვენიერი აღნაგობის ქართველმა ძლიერი მოწოდებებითა და ლაღი თამაშით გულშემატკივრის ალალი სიმპათიაც დაიმსახურა. არადა, მოწინააღმდეგედ თავისზე ბევრად გამოცდილი რუსი მარია არხიპოვა ჰყავდა, რომელიც საერთაშორისო რეიტინგში 622-ეა და „ბორჯომის თასზე" მეექვსე ნომრად იყო განთესილი.

პირველი შვიდი გეიმი თანაბრად მიდიოდა, მერე კი ჯიქიამ დაახლოებით ათ წუთს გაწელილი რუსის მოწოდება მოიგო, ზედ თავისიც მიაყოლა და ნახევარი საქმეც მოამთავრა. მეორე სეტიც ქართველის კარნახით დაიწყო, თუმც მაშინ, როცა ანგარიში 2:1 იყო, შეხვედრა წვიმამ შეწყვიტა. ნახევარსაათიანი შესვენება არხიპოვას გამოსაცოცხლებლად აშკარად არ ეყო, კორტზე დაბრუნებულმა ისევ ისე უბრახუნა და საბოლოოდ 3:6 დამარცხდა.

ადვილად იმარჯვა ქართველთაგან საუკეთესო რეიტინგიანმა სოფო მელიქიშვილმა (476). კენჭისყრით შეხვედრილი ხორვატი გიანა დოცი თბილისში საერთოდ არ ჩამოუვიდა და მის ნაცვლად რუსს მარია რახმანინას ასროლინა კუდით ქვა.

დამარცხებული სამეულიდან კი ყველაზე მეტი 16 წლის სოფო ქვაცაბიამ იბრძოლა. მის რუს მეტოქე ვასილისა დავიდოვას თავის მეორე წრეში დასაგულებლად სამსეტიანი ოფლისღვრა დასჭირდა. ორ სეტში წაგო 16 წლის ნათია გეგიამ, თუმც მეორეში ისე იბრძოლა, მოგებისაც იმსახურებდა.

დღეს დარჩენილი შვიდი ქართველი გავა კორტზე და უარეს შემთხვევაში მეორე წრეს ორი მიაღწევს. ორი წყვილი ხომ ქართულია: თათია მიქაძე აქსანა კალაშნიკოვას ხვდება, ნინა მაკაროვა კი სალომე ჩაჩხუნაშვილს. დანარჩენი სამიდან ყველაზე მეტად თინათინ ყავლაშვილისა გვეიმედება. იგი კიდევ ერთ რახმანინას, სახელად ნატალიას დაუპირისპირდება. თავისზე უკეთესი რეიტინგის მოწინააღმდეგეები შეხვდათ მანანა შაფიქიძესა და სოფო შაფათავას. პირველი ესპანელ ევა ფერნანდესს გაეჯიბრება, ხოლო მეორე რუს სოფია ავაქოვას.

ოთარ მალლაკელიძე

ᲕᲣᲔᲚᲢᲐ 2004 4 - 26 სექტემბერი

ალესანდრო პეტაკი მსპანელმეგსაც მეტაკა

წლის ბოლო დიდი ველოტური, ესპანური „ვუელტა" ჯერ ხეირიანად არ გახურებულა და იტალიელმა სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ ისეთი ტემპი აკრიფა, ძნელად რომ ვინმემ მოგებული ეტაპების რაოდენობაში აჯობოს. განვლილი ოთხი ეტაპიდან სამი ჩქაროსნული იყო და აქედან ორი პეპელასავით იტალიელს დარჩა — 5 სექტემბერს ბურგოსშიც ყველას მოუგო საფინიშო სპრინტი და ორი დღის შემდეგ, ანუ გუშინ სარაგოსაშიც ყველას მიასწრო. ესპანელები ალბათ გულზე სკდებიან, „ვუელტას" მონაწილეთა უმრავლესობას ადგილობრივი მრბოლები შეადგენდნენ და უთქმელადაც ცხადია, იტალიელის გამარჯვებას ძვირად მიესალმებიან.

მაგრამ ჯერ მთელი „ვუელტა" წინაა და ესპანელები კიდევ იყოჩაღებენ, მით უმეტეს პეტაკის საერთო ჩათვლის ანუ „ვუელტას" მოგების მისხალი შანსი არა აქვს — ის ხომ ბოლო 200-300 მეტრის კაცია და გრძელ გზაზე და მით უმეტეს მთებში ჯგროსგან არ გამოირჩევა.

დღეისთვის კი ესპანელთაგან თავი ჯერ მხოლოდ ალეხანდრო ვალვერდემ გამოიჩინა, ვინაც 6 სექტემბერს სორიაში მე-3 ეტაპის ფინიშზე სპრინტი მოიგო. ეგაა, მისი გამარჯვება მაინც ვერ აღნიშნეს სორიელებმა სათანადოდ, რაკი წვიმდა და გზისპირებზეც ხალხი კანტიკუნტად ელოდა 200 ველომრბოლის გამოჩენას.

III ᲔᲢᲐᲞᲘ. 6 სექტემბერი. ბურგოსი — სორია. 157 კმ	
1 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი. კელმე)	3 სთ, 43 წთ, 17 წმ
2 სტიუარდ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი)	
3 დენის მენშოვი (რუსეთი, ბანესტო)	ორივე იგივე დრო
IV ᲔᲢᲐᲞᲘ. 7 სექტემბერი. სორია — სარაგოსა. 167 კმ	
1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო)	4 სთ, 23 წთ, 1 წმ
2 ერიკ ცაბელი (გერმანია, T-მობაილი)	
3 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	ორივე იგივე დრო
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ	
1 ბენუა იოახიმი (ლუქსემბურგი, US პოსტალი)	13 სთ, 38 წთ, 59 წმ
2 მაქს ვან ჰეესვიიკი (ჰოლანდია, US პოსტალი)	+18 წმ
3 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, US პოსტალი)	+24 წმ



REUTERS სორიიდან

მესამე ეტაპის ფინიშზე ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ გაიხარა

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალიგა
VIII ტური

ბრაუნშვაიგი 3:1 ვოლფსბურგი (მ)

დანია

თასის I ეტაპი

სილკებორგი 1:4 დალუმი

გლადსაქსი 2:7 ფრემადი

იტალია

თასის I ეტაპი

ტერნანა 3:1 პესკარა

ინგლისი

ლიგის თასის I ეტაპი

ბოსტონი 4:3დ.დ.(3:3) ლუტონი

ამსანაგური მატჩი

ახალგაზრდულები (U-21)

გერმანია 5:3 სერბეთი

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ჰოლანდია 0:0 ჩეხეთი

III ჯგუფი

ლუქსემბურგი 1:2 ლატვია

პორტუგალია 3:0 ესტონეთი

IV ჯგუფი

ისრაელი 1:0 კვიპროსი

შვეიცარია 4:2 ირლანდია

V ჯგუფი

ნორვეგია 2:3 ბელარუსი

მოლდოვა 0:1 იტალია

შოტლანდია 1:1 სლოვენია

VI ჯგუფი

ავსტრია 3:0 აზერბაიჯანი

პოლონეთი 1:3 ინგლისი

VII ჯგუფი

ბოსნია 0:2 ესპანეთი

ლიტვა 2:0 სან მარინო

VIII ჯგუფი

უნგრეთი 1:0 ისლანდია

შვედეთი 0:2 ხორვატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაურინიუს წიგნი

ჟოზე მაურინიუმ, აწ „ჩელსის“ მწვრთნელმა, თავისი პირველი წიგნი გამოსცა და ხალისიანი პრეზენტაციაც გამართა ლისაბონის ერთ-ერთ მაღაზიაში. ჩემპიონთა და უეფას თასების „პორტუსთან“ ერთად მომგები მწვრთნელის წიგნს „გამარჯვებათა ბორბალი“ ჰქვია.

REUTERS ლისაბონიდან

შუმი მოსულა

შანხაიში ფორმულა დიახაც მოსულია და, რა თქმა უნდა, მიხაელ შუმახერის იერი აქვს. თუმცა, მეფორმულეთა თაყვანცემული ბერნი ეკლსტოუნი კი ამბობს, შუმის ამდენი გამარჯვება ეყოფა და უმჯობესია, ექვსი-შვიდი ეტაპი მოიგოს ხოლმე, ვიდრე ყველგან და ყველაფერით.

REUTERS შანხაიდან



REUTERS პრაჩუაპ ხილო ხანიდან

ტრანს სპილოებურთი

სპილობურთის ყველაზე დიდი ტურნირი ტაილანდში პრაჩუაპ ხილო ხანში ტარდება ხოლმე, წლეულს შეჯიბრში თოთხმეტი გუნდი ჩაერთო, ამათ შორის კი ერთი ტრანსვესტიტებისა. სწორედ ეს გაცინებული მობურთალი გახლავთ ტრანსვესტიტების, ქალბიჭების გუნდის კაპიტანი. შეჯიბრში 24 სპილოც იყო ჩაბმული, გუნდები კი 5 კონტინენტიდან მოგროვდნენ.

REUTERS პრაჩუაპ ხილო ხანიდან



REUTERS ჰონგკონგიდან

მოგზაურობა

დუ შანგი (მარცხნივ) ისტორიაში პირველი აზიელია, 110 მეტრზე თარჯრბენის ოლიმპიური ჩემპიონი რომ შეიქნა. ის და წყალში მხტომელები გუო ჟინგ ჟინგი (ქალი) და ტიან ლიანგი ჰონგ-კონგს ჩავიდნენ, როგორც საზეიმო ოლიმპიური ტურის მონაწილენი.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge